სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 9 ოქტომბერი 2006 №233 (2855) ფასი 50 თეთრი

AFP როსტოკიდან

იტალია ნაგერმანიევს!

დღეს თბილისში ოთხგზის მსოფლიო ჩამოდის

ისე მგონია, ყველას ყელში ბმოუვიდა ათასგზის თქმული „კარგად ვითამაშეთ, მაგრამ წავაგეთ“, ამიტომაც, დავივიწყოთ ამოჩემებული და, თუ მაინცდამაინც ჩვენებზე კარგის თქმა გვინდა, ეს მხოლოდ პირველი ტაიმის გამო — ოთხი საგოლე მომენტი სტუმრად გერმანიასთან, აბა, მიდი და, გაახერხე... აი, შესვენების შემდეგ კი როსტოკის „ოსტსეეშტადიონზე“ ერთი გუნდი თამაშობდა და ლაღობდა, მეორეს კი არაქათი გამოსცლოდა...

ამხანაგური წავაგეთ, ვაი-ვიშის ასატეხი არაფერია, ფიქრი და გონება კი 11 ოქტომბერს უტრიალებს — დღეს მსოფლიოს ჩემპიონი თბილისში ჩამოდის! გამგელებული, ქულებზე დაგეშილი „სკუადრა“ ვერ გუშინწინ დანაყრდა მიუხედავად იმისა, რომ უკრაინას სძლია: რობერტო დონადონის ხომ ულტიმატუმისმაგვარი წაუყენეს, ან უკრაინა-საქართველოსთან 6 ქულას აიღებ, ანაც ნაკრებს დაემშვიდობებიო. იტალია დღეს გვესტუმრება, საქართველოს ნაკრები კი გუშინ ჩამოფრინდა და გუშინვე გადაწყდა, რომ „აძურას“ ვერ შეუტევს შოთა არველაძე — მისი 11-მდე გამოჯანმრთელების მკრთალი იმედი მთლად მიინავლა.

ერთი სიახლეც ყბადაღებულ მეკარის თემაზე: კლაუს ტოპმიოლერმა საიტალიოდ მიიწვია „ამერის“ გოლკიპერი ზურაბ ქვაჩახია, ვისაც ასეთი პატივი პირველად ერგო.

ჩვენს შესარჩევ ჯგუფში კი ამბები ტრიალებს... იტალიისგან უკრაინის ძლევა და ლიტველების ფარერებზე მოგება ლოგიკურიც იყო. გლაზგოში კი შოტლანდიელი „მამაცი გულების“ ნამოქმედარს სენსაციაზე მეტი ჰქვია — რაიმონ დომენეკის ვარსკვლავურმა საფრანგეთმა სქოთების კარის ურდული ვერ მონახა, 0:1 წააგო და ისე გამოვიდა, ბობოლათა ჯგუფს არაბობოლა შოტლანდია ქულადაუკარგავად თამადობს...

ილია ნანობაშვილი

შოთა და იტალია ჩაიშალა

გადაწყდა: ალკმაარელი შოთა არველაძე 11 ოქტომბერს იტალიასთან ვერ ითამაშებს. არველაძეს მუხლის ტრავმა აქვს და იყო პატარა იმედი, რომ იტალიასთან მატჩისთვის მწყობრში ჩადგებოდა, მაგრამ...

— უკვე სამი დღეა, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, გუნდთან ერთად ვარჯიში კი 10 ოქტომბრიდან შემეძლება. იძულებით უქმობას ერთ დღეში ვერ ავანაზღაურებ, იტალიასთან მატჩისთვის სრულფასოვნად მომზადებას ვერ ვასწრებ და ამიტომაც ვერ ჩამოვალ ამ სანაკრებო შეკრებაზე — გვითხრა გუშინ ნაკრების მთავარმეგოლემ.

შეგახსენებთ, რომ 11 ოქტომბრის მატჩისთვის ჩვენს ნაკრებს კიდევ ერთი წამყვანი ფორვარდი არ ეყოლება — გიორგი დემეტრაძე ორი ყვითელი ბარათის გამოა დისკვალიფიცირებული.

დავით თავართქილაძე

11 ოქტომბერს
მორიგი სიურპრიზი VEGA SLOT-ისგან

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

გერმანელმა ფორვარდებმა კახა კალაძეს საქმე არ მოაკლეს

გიორგი დემეტრაძე და საქართველო ტიტულოვან მეტოქეს ვერ დაეტოლნენ

AFP როსტოკიდან

მცირე მუნდიალი საქართველოსთვის

როსტოკი. 7 ოქტომბერი. 22 საათი. ოსტსეეშტადიონი. 28 000 (ტევადობა 28 000)

გერმანია 2:0 საქართველო

1:0 შვაინშტაიგერი (24), 2:0 ბალაკი (67)

გერმანია:	საქართველო:
ჰილდებრანდი, ფრიცი, ა. ფრიდრიხი, მ. ფრიდრიხი (მადლუნგი 84), ჰიცლშპერგერი (ფატი 76), ოდონკორი, ტროხოვსკი (ფრინგსი 76), შვაინშტაიგერი, ბალაკი, პანკე (შლაუდრაფი 65), პოდოლსკი	ლომაია, ღვინიანიძე (ხიზანეიშვილი 73), ხიზანიშვილი, კალაძე, კვირკველია (გიგიაძე 79), მენთეშაშვილი (ალადაშვილი 79), კანკავა, კობიაშვილი, ცქიტიშვილი (გოგუა 58), მარცვალაძე (ა. იაშვილი 63), დემეტრაძე (მოდებაძე 83)
მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი	მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: მენთეშაშვილი, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი

გაძევება: პოდოლსკი (48), ხიზანიშვილი (62)

მსაჯი: გერალდ ლენერი (ავსტრია)

გერმანია — საქართველოს მატჩის ის წუთი იყო, ლევან კობიაშვილი მეკარე ტიმო ჰილდებრანდთან პირისპირ რომ დარჩა, მასპინძელთა თავკაცი იოახიმ ლიოვი სკამიდან წამოხტა და შეგირდებს ლამის მოედანზე შეუვარდა. ერთი-ორი წუთი შეხვედრის მეოთხე მსაჯი მის დაშოშმინებას ამაოდ ცდილობდა და ვიდრე ლიოვმა არბიტრისგან სიტყვიერი გაფრთხილება არ მიიღო, იქამდე მთელი სტადიონის გასაგონად თავის ფეხბურთელებს ლანძღავდა... თუმცა ლიოვი კობიაშვილის იმ რეალურ მომენტამდე და ამის შემდეგაც მოსვენებადაკარგული იყო, გამუდმებით ყვიროდა და შეგირდებს მეტი ყურადღებისკენ მოუწოდებდა. დამეთანხმებით, გერმანიის ნაკრებს შესვენებამდე ქართველებისგან საკმაო პრობლემები შეექმნა. სამწუხაროდ, ეს ყოველივე მხოლოდ 45 წუთი გაგრძელდა, მერე გერმანია გერმანიასავით ათამაშდა, ხოლო, რაც მეორე ტაიმში მოხდა, ტელევიზიით ნახავდით და მატჩის დეტალური აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, უფრო კადრსმიღმა ამბებზე გეტყვით.

...საერთოდ, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოს ნაკრებმა თამაში მაშინ დათმო, როცა არბიტრმა სრულიად სამართლიანად გაძევა ლუკაშ პოდოლსკი. ეს მეორე ტაიმის დასაწყიში მოხდა და მას შემდეგ ჩვენებს რაიმე აღსანიშნი არაფერი შეუქმნიათ. თითქოს საქართველოს ნაკრებმა ათკაციანი გერმანიის წინააღმდეგ რწმენა დაკარგა, ფსიქოლოგიური პრობლემები შეექმნა, არ დაიჯერა, რომ შეიძლებოდა ამ მატჩის არწაგება. არა მხოლოდ ბურთიანი ქართველი ფეხბურთელი, დანარჩენებიც ისე პასიურობდნენ, ისე უმოქმედოდ იყვნენ, ძნელად დაიჯერებდი, რომ ესენი 10-15 წუთის წინ ნორმალურად თამაშობდნენ. კაცნაკლული მასპინძლები კი, პირიქით, ერთი-ორად გააქტიურდნენ.

ნამატჩევს ტელეკომპანია ZDF-მა შეხვედრის ცალკეული ეპიზოდები რომ მისხალ-მისხალ გაარჩია, კარგად ჩანდა მოედნის თითოეულ მონაკვეთში გერმანელების რიცხობრივი უპირატესობა, ორ ქართველზე ერთბაშად ოთხი, ხშირად ხუთი მასპინძელი მოდიოდა. მეორე გოლიც სწორედ ამ კოლექტიური ბურთის ართმევის ხარჯზე გაიტანეს ლიოვის შეგირდებმა. სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე მწვრთნელმაც სწორედ ეს აღნიშნა, ოღონდ ხაზგასმით თქვა, ასე მხოლოდ მეორე ტაიმში ვითამაშეთო. ლიოვმა, რა თქმა უნდა, კბილი გაჰკრა პოდოლსკის უსაქციელობასაც, აღნიშნა, რომ სლოვაკეთთან, შესაძლოა, არც ვათამაშოო. გუშინდელი „ბილდი" კი ასეთი სათაურით გამოვიდა: „როგორი ჭკვიანია შვაინშტაიგერი და როგორი სულელი პოდოლსკი".

საქართველოს ნაკრების თამაშს შაბათს მწვრთნელის ხელი კიდევ უფრო ეტყობოდა. ორ ტაქტიკურ ჩანაფიქრზე გავამახვილოთ ყურადღება: ჩვენებმა მომენტების უმეტესობა თითქმის ერთიდაიგივე კომბინაციით შექმნეს, შეტევაში ჩართული ფლანგელი მცველი თუ ნახევარმცველი მეტოქის მცველების უკანა ზონაში აგდებდა ბურთს და სხარტ დემეტრაძესა და მარცვალაძეს ამგვარი გათამაშების შემდეგ რამდენჯერმე ჩინებული საგოლე შანსი შეექმნათ. ასეთი კომბინაცია ჩვენებმა სამ-ოთხჯერ „ჰანზასთან" შეხვედრაშიც გაითამაშეს.

მეორე თვალშისაცემი მომენტი: ტოპმიოლერის საქართველო ჩაშლილი შეტევის შემდეგ ბურთის დაბრუნებას იქვე, მეტოქის საჯარიმოსთან პრესინგით ცდილობს და ეს არც თუ იშვიათად ეფექტურადაც გამოსდის. გაიხსენეთ, როგორ შეექმნა ლევან კობიაშვილს ის ურეალურესი საგოლე შანსი, როცა ჰილდებრანდთან პირისპირ დარჩა — მეკარის დაგორებული ბურთის მიღება მან არნე ფრიდრიხს არ დაანება. სხვა საქმეა, რომ კობიაშვილმა მერე არცთუ მთლად სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ოთარ მარცვალაძეს გადააწოდა. ოთარის ხსენებაზე კი მისი ძალიან კარგი თამაშიც აღვნიშნოთ. არჩათვლილი გოლიც ხომ მან გაიტანა, მაგრამ ორიოდ სანტიმეტრით წინ იყო მცველებზე და მსაჯმაც თამაშგარე დაუფიქსირა. არადა, ეს ეპიზოდი იმავ ZDF-ს უზუსტესად ათასჯერ რომ არ გაემეორებინა, ყველა დარწმუნებით ამბობდა, მსაჯი შეცდაო. გვერდითი მსაჯი არ შემცდარა, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ეს ისეთი თამაშგარე იყო, რომელსაც მასპინძლებს ალბათ არც დაუფიქსირებდა. მერე მარცვალაძეს ვკითხე, ხიზანიშვილის თავურისთვის რომ არ დაგემატებინა, რა მოხდებოდა-მეთქი და, ბურთი კარში არ წავიდოდაო, მიპასუხა. ამ მომენტის შემდეგ კი კლაუს ტოპმიოლერიც გამოვიდა წყობიდან და შესვენებისას თანამსაჯს, ვეჭვობ, არცთუ ტკბილი სიტყვები უთხრა, მოედანზე შეუვარდა და დასამშვიდებელი გახდა.

კიდევ ერთი, რაც ჩვენების ქცევაში კარგად გვეინშნა. გახსოვთ, საფრანგეთთან მატჩის შემდეგ ტოპმიოლერმა რა თქვა? ქართველები მეტოქე ფეხბურთელებს ზედმეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, რაზეც ისიც მეტყველებს, ნამატჩევს მაისურების გაცვლას რომ ეხვეწებოდნენო. გერმანიასთან სხვანაირად იყო, ჩვენებს მასპინძელთა რამდენიმე ვარსკვლავისთვის მაისურების გაცვლა არც უცდიათ, გაიხადეს სამოსი და ტრიბუნაზე მყოფ ქართველებს უსახსოვრეს.

სხვათა შორის, გერმანული ფირმა „სალერის" სამოსი, რითაც ჩვენებმა ითამაშეს, მატჩის დღეს მიიღეს. ზეგ იტალიასთან საქართველო ისევ „დიადორას" მოირგებს, მაგრამ შემდეგ, შესაძლოა, ამ ფირმასთან ტექნიკური სპონსორობის საკითხი გადაიხედოს. ფედერაცია „დიადორასთან" ურთიერთობით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანს.

მოკლედ, საქართველოს ნაკრებმა იტალიასთან ზეგინდელ მატჩამდე მართლაც კარგი, გამოსადეგი რეპეტიცია გაიარა. რა იქნება 11 ოქტომბერს, რა გითხრათ, მაგრამ გერმანიასთან შეხვედრის შემდეგ გული არცთუ ცუდს უნდა გეუბნებოდეს. თუმცა აქვე შეგახსენებთ, რომ შაბათის შემადგენლობიდან ოთხშაბათს კობიაშვილი, გოგუა და დემეტრაძე ვერ ითამაშებენ. ტოპმიოლერს ამათი შემცვლელები ალბათ უკვე შეგულებული ჰყავს.

ვნახოთ... ჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი, მერე მეოთხედფინალისტი, ახლა მესამე ადგილოსანი და აგერ, მსოფლიოს ჩემპიონებსაც ველით. ჩვენმა მზემ, ზედიზედ ოთხი ასეთი მეტოქე...

კოტა ინასარიძე
როსტოკი — თბილისი

გერმანია — საქართველო

სპეციალისტთა აზრი დაცვიდან თავდასხმამდე

გერმანია — საქართველოს მატჩში ჩვენი გუნდის შეფასება სამ სპეციალისტს ვთხოვეთ ასეთი პრინციპით: თითოეულს ერთი რგოლი უნდა შეეფასებინა — დაცვა, შუახაზი და თავდასხმა...

გიორგი ჩიხრაძე, თბილისის „ამერის“ მთავარი მწვრთნელი:

— მეკარით და განაპირა მცველებით საქართველოს ნაკრებს სტაბილური შემადგენლობა არ ჰყავს. მათე ღვინიანიძე კარგი, პერსპექტიული მცველია, თუმც მის ზონაში ხშირად იქმნებოდა ხიფათი და მისი ფლანგიდან გადმოვარდნილ ბურთებს გერმანელები ეუფლებოდნენ.

— ცენტრალურ მცველებს, კახა კალაძეს და ზურაბ ხიზანიშვილს კუდად არ უთამაშიათ, უფრო კალაძეს. ვფიქრობ, ისინი ისეთ ასაკში არიან, სათამაშო პიკისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. დაცვის ცენტრიდან გადმოვარდნილ ბურთს გერმანელები რომ ეუფლებოდნენ და კარში ურტყამდნენ, ეს ჩვენი ცენტრალური ნახევარმცველების ბრალი იყო.

— რაც შეეხება დავით კვირკველიას, მისი ფლანგიდან დავიდ ოდონკორმა მართლაც ბევრი პრობლემა შეუქმნა ჩვენს ნაკრებს. გამოჩნდა, რომ პრობლემები გვაქვს დაზღვევის მხრივაც. გერმანელები ფლანგებზე რომ აქტიურობდნენ, ეს მხოლოდ ჩვენი განაპირა მცველების ბრალი არ იყო. ისიც ტვირთად აწვება ჩვენ გუნდის დაცვას, საგოლე მომენტებს რომ ვერ ვიყენებთ.

— ვფიქრობ, გვაქვს იმის რესურსი, რომ ნაკრებმა სამი სტოპერით ითამაშოს — კალაძე, ხიზანიშვილი და ასათიანი, მაგრამ ასეთი სქემის დროს, სულ მცირე, ორი ისეთი საყრდენი ნახევარმცველი უნდა გვყავდეს, რომლებიც დაცვით და შეტევით ფუნქციებს კარგად შეასრულებენ, კიდევ ისეთი განაპირა მცველები, შეტევაში აქტიურად რომ ითამაშებენ.

გიორგი კიკნაძე, რუსთავის „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი:

— თამაში გერმანიის ნაკრების ნახევარდაცვასთან, რომელსაც ორი ვარსკვლავი ჰყავს — მიხაელ ბალაკი და ბასტიან შვაინშტაიგერი — ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება. ჩვენ კი მათ შესუსტებულ შემადგენლობით ვეთამაშეთ, თანაც ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი ტრავმების შემდეგ ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ არიან.

— რაც შეეხება ნახევარდაცვის ფლანგებს, ჩვენი ნაკრების შემადგენლობიდან გამომდინარე, მეტს არც ველოდი. ფლანგზე თამაში ძალიან სპეციფიკური რამ არის — ასეთ დროს ერთი ერთზე უნდა სჯობდეს ფეხბურთელი ფეხბურთელს. ვფიქრობ, თუ ნაკრებში არგამოძახებული ლადო ბურდული ოპტიმალურ ფორმაშია, ის სხვებზე უკეთ ითამაშებდა.

— ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებში გამთამაშებლად მოთამაშე ფეხბურთელს ვერ ვხედავ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მალხაზ ასათიანი კლუბში ამ პოზიციაზე არ თამაშობს. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებმა ამ ეტაპზე პლეიმეიკერით არ უნდა ითამაშოს.

— ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჩვენი ნახევარმცველებისადმი კლაუს ტოპმიოლერის ძირითადი დავალება ბალაკის განეიტრალება იყო. მაგრამ, რა დავალებაც უნდა მიეცა მას ჩვენი ნახევარმცველებისთვის, ეს სიტუაციას ვერ შეცვლიდა ფეხბუროელთა არასაკმარისი რესურსის გამო.

გიორგი დვალიანი, „თბილისის“ ყოფილი მწვრთნელი:

— თავდასხმის თამაში თითოეული ნომინალური ფორვარდის შეფასებით არ უნდა განისაზღვროს, მთლიანად გუნდის შეტევითი პოტენციალი უნდა შეფასდეს, რადგან, როდესაც მეტოქეს უტევ, ამას მხოლოდ ნომინალური თავდამსხმელები არ აკეთებენ, ფეხბურთი უნივერსალიზმისკენ ვითარდება. ამ მატჩში ჩვენი გუნდის შეტევას დადებითად ვერ შევაფასებ თუნდაც იმიტომ, რომ გოლი ვერ გავიტანეთ, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, თუმც დავინახე მომზადებული შეტევები და სასურველია, ასეთი შეტევები მეტი იყოს.

— ჩვენს შემტევ ხაზს ამ თამაშში ურთიერთცვლა აკლდა — ფეხბურთელები ერთმანეთს არ ენაცვლებოდნენ. ჩვენი იერიშებისას მეტოქეს მხოლოდ სამი კაცი უტევდა, არადა, უნდა გვეცადა, რომ იქით მოგვეხვია ჩვენი თამაში მეტოქისთვის. შეტევისას ხუთი-ექვსი ფეხბურთელი ერთად უნდა მოძრაობდეს. რა თქმა უნდა, მესმის, რომ მოკლე დროში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია.

— რაც შეეხება ცენტრფორვარდის თემას, შოთა არველაძის არყოფნაში ეს ძალიან პრობლემატური საკითხია საქართველოს ნაკრებისთვის. არველაძე, როგორც ცენტრალური თავდამსხმელი, სწორედ ისე თამაშობს, როგორც ევროპაში თამაშობენ, სადაც ყველაფერი ფაქტობრივად ინსტინქტების, ავტომატიზმის დონეზეა, ჩვენი ნაკრების თამაში კი ასეთნარიად ჯერ არაა დალაგებული. საქართველოს ნაკრებში არველაძის შემცვლელად ერთი ცენტრფორვარდი მეგულება — სანდრო იაშვილი, მაგრამ მისი ხასიათია პრობლემა, თუმც ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და კიდევ დარჩა დრო წინსვლისთვის. ქართულ ფეხბურთს ის სჭირდება.

დავით თავართქილაძე

Bild-ინსვერსია



უმაღლესი შეფასება — 1; უდაბლესი — 6

geo_geo_fan@hotmail.com

რუბრიკა თავად ქომაგებმა გახსნეს და იტალიასთან მატჩამდე შეგიძლიათ, თქვენი აზრი გამოთქვათ. დღეს ფოსტაში ორი წერილი გვაქვს, თუმცა ეჭვიც არ გვეპარება, დანარჩენებიც არ დაიზარებთ მოწერას და ეს თქვენი რუბრიკაც საქმიანად ამოქმედდება. მოკლედ, ველით თქვენს წერილებს...

ფეხბურთელები გვინდა, ფეხბურთელები!

GEORGE GEO: სალამი. მინდა, ნაკრების თამაშზე მოგწეროთ, მაგრამ რაღაცნაირი გაორებული გრძნობა მაქვს.

შაბათს იყო მომენტები, როდესაც საქებარი სიტყვები არ მყოფნიდა და იყო ისეთიც, როდესაც მოედანზე საქართველოს გუნდი არ ჰყავდა. არა ვარ მე ის კაცი, ამ ყველაფერს კომპეტენტური შეფასება მივცე, თუმცა საქართველოში ყველა ფეხბურთის „უმაღლესი“ დონის სპეციალისტია და მეც თავს უფლებას მივცემ...

კობიაშვილი და კანკავა კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებიან როი კინისა და პოლ სქოულზის დუეტს. ეგრე სადაა, მეტოქის თამაშიც ჩაშალო, გოლებიც გაიტანო და კარგი პასებიც დაარიგო. დიახ პასები. შაბათს, ერთიორი მომენტის გარდა, კარგი პასი არ ყოფილა, რაც შევქმენით სულ ინდივიდუალური გარჯის ხარჯზე იყო. მე მგონი, საქართველოს ნაკრებისთვის „კლასიკური“ გამთამაშებელი, იგივე ფლეიმეიკერი აუცილებელია. ისეთი, როგორებიც ქინქლაძე და ასათიანია. რა ვქნათ, ბედი არ გვწყალობს და ვის შევჩივლოთ. ჯამარაულმაც თამაშს თავი დაანება. ხუმრობა იქით იყოს და, ამ სამი ფეხბურთელითაც ბევრჯერ წაგვიგია, მაგრამ მაშინ შეტევაში რაღაცა გუნდური, აზრიანი მაინც იყო ხოლმე...

დაცვაში დიდი ნაპრალები გვაქვს. ეტყობა, ყველას „თავისი ნესტა“ უნდა ჰყავდეს გვერდზე. შეცდომა ვის არ დაუშვია, მაგრამ ამ რაოდენობით ჩვენი მცველები თავიანთ გუნდებში ნამდვილად არ სცოდავენ...

მეკარეზე რაღა ვთქვა. თითქოს ბევრი ბურთი მოიგერია და რამე, მაგრამ აშკარად პრაქტიკის უქონლობის გამო ნერვიულობდა, სულ მუშტებით იგერიებდა ბურთს და ეგეთებს მუდმივად კი არ გვაპატიებენ...

თავდასხმაში შოთა მართლაც დიდი ძალაა, თუმცა ცოტა ხნის წინ ამ რგოლში ყველაზე ნაკლებად გვიჭირდა. დემეტრაძე და იაშვილი ტოპმიოლერის გუნდში საღღაც იკარგებიან და ეს მარტო მათი ბრალი არ უნდა იყოს. კიდევ რა ვერ გავიგე იცით, გიგიაძეს ამდენი გოლები როგორ გააქვს და როგორ ხდება საუკეთესო თავდამსხმელი უკრაინაში? არ მინახავს მისი თამაშები, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ გუნდში სულ სხვა ადგილზე თამაშობს, ვიდრე ნაკრებში. თუმცა უკრაინაში ალბათ უფრო ადვილიც არის...

ეს ყველაფერი ისე იყო, გული მოვიფხანე და ჩემი ჭია გავახარე. დანარჩენ ჩვენს „ბულკ“ იტალიას როცა მოვუგებთ, მერე ვილაპარაკოთ...

ZIZI-TOP: საცოდავი ტოპმიოლერი, ალალად მეცოდება ეს კაცი. რა ჭნას, თითებზე ჩამოსათვლელი ფეხბურთელი ჰყავს და მათგან ნახევარი ტრავმების გამო აკლდა. მაგრამ ამის მიუხედავად, ნაკრებს ნახაზი და დარიგება ეტყობოდა. ეს კი ძალიან სასიამოვნო იყო.

ტოპმიოლერს თუ შევინარჩუნებთ კიდევ სამი-ოთხი წელი, რაღაცა გვეშველება. ამაში დარწმუნებული ვარ. ფეხბურთელებიც გვინდა, ფეხბურთელებიც!

geo_geo_fan@hotmail.com

გიო ახვლედიანის ფრონტალური ინფორმაციები

ცვეტი

კლასთან ბრძოლა

ისე, კაცმა რომ თქვას, ამ ჩვენს მწვრთნელს ილბალიც აკლია: ვინც უნდა და სჭირდება, ჯერ ერთად არათუ ათამაშა, ვერც ჩაამწკრივა.

საერთოდ, ამხანაგური კი ვარჯიშობაა ხოლმე, მაგრამ ისეთი ვარჯიშობა, რომლიდანაც რაღაც ახალს და დამატებითს გამოელი: რაღაცას შეასწორებ, რაღაცაზე დაფიქრდები, რაღაცა გაგივლის. ყველაზე უბრალო სარგებელი ამ საქმიდან გამოცდილების მიღებაა.

დიდ გუნდთან ნამდვილი თამაშის წინ სხვა დიდ გუნდთან ამხანაგურის გავლა, თუნდაც კოჭებში მწარედ გხვდებოდეს, სასარგებლოა.

მგონი, ჩვენი ახალბედების პრობლემა ის არის, რომ დიდ გუნდებთან რიდით თამაშობენ.

ჩვენ გვყავს ისეთი ახალგაზრდებიც, რომლებიც თამაშში რიდიანები არ არიან, მაგრამ საბოლოო ჯამში თამაში მაინც რიდიანი გამოდის. თუ ამას გამოუცდელობას და დაუხვეწავ ოსტატობას დაუმატებ, დიდ გუნდთან შანსი არასდროს გექნება.

არადა, ფეხბურთი სწორედ ამის თამაშია, რომ პატარას დიდთან შანსი ჰქონდეს. ეს იმავ შაბათ საღამოს დასტურდებოდა ევროპის სულ ნაირგვარ სტადიონებზე.

ახალგაზრდაო, გამოუცდელიო და ასე შემდეგ რომ დაიწყებენ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მთავარ ამბებს დღევანდელ ფეხბურთში სწორედ ოც წლამდე ბიჭები ახდენენ. ყველაზე თვალშისაცემ ამბებს.

ახლა მოდის იტალია, დღეს ჩამოდის.

აქამდე რაც გვითამაშია ამ გუნდთან, ერთის გარდა ყველა წაგვიგია და ის ერთი იყო საქართველოს საუკეთესო თამაში. იმათი კარი კვლავაც ელოდება ჩვენს გოლს.

ალბათ ეს სხვა თამაში იქნება, არ ემგვანება გერმანიასთან თამაშს.

საინტერესოც ეგაა: რა იქნება სხვა ამ თამაშში?

იტალია, როგორც წესი, კლასით მოდის.

არის რამდენიმე რამ ფეხბურთში, რაც კლასს ებრძვის ხოლმე და ზოგჯერ უმართლებს.

მგონი, ამ შემთხვევაში ჩვენ შანსებზე უნდა ვიფიქროთ და არა იმაზე, რომ შეტევა გაგვიჭირდება, რადგან არა გვყავს შოთა და ასკა.

რა ვიცი: ყველაზე გაცვეთილი და იმავდროულად ყველაზე ნამდვილი ქართული გამოთქმა ამ თამაშში ასე ჟღერს: ბურთი მრგვალია.

ყველასთვის მრგვალია და ამიტომ უნდა მიაწვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

იტალია 2:0 უკრაინა

1:0 ოდო (71პ), 2:0 ტონი (79)
იტალია: ბუფონი, ოდო, კანავარო, მატერაცი, ძამბროტა, გატუზო, პირლო, დე როსი, დელ პიერო (დი ნატალე 62), ტონი (ინძაგი 85), იაკინტა (კამორანეზი 76)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
უკრაინა: შოვკოვსკი, იეზერსკი, შერშუნი, რუსოლი, ნესმაჩნი, ნაზარენკო (კალინიჩენკო 59), ო. გუსევი, ტიმოშჩუკი, შელაევი, ვორობეი (მილევსკი 73), ვორონინი
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
გაფრთხილება: შერშუნი, ვორონინი, გატუზო, რუსოლი, იეზერსკი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
49 149 მაყურებელი

სკუადრა: ისევ მაღალი ტონი
გატუზო თბილისში არ მოდის

AFP ფოტო

„ამ მოგებას რობერტო დონადონის ვუძღვნით. ჯანსაღი კრიტიკა კარგია, მაგრამ იმაზეც დავფიქრდეთ, რომ მუნდიალის შემდეგ ვინც არ უნდა დანიშნულიყო მწვრთნელად, ყველას გაუჭირდებოდა" — ასე იკისრა დონადონის ადვოკატობა ჯენარო გატუზომ უკრაინასთან მოგების შემდეგ.

„რინომ" ჩვეული ჯიგრიანობით ითამაშა და აქა ამბავი ქართველთა გასახარი და „მილანის" ზოგიერთი თავგადაკლული ფანისთვის საწუხარი: გატუზომ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო (პირველი ლიტვასთან ჰქონდა) და თბილისში ვერ ითამაშებს.

...მაგრამ, უკრაინასთან მატჩს ორი გმირი ჰყავდა: ლუკა ტონი და ჯანლუიჯი ბუფონი.

71-ე წუთი იყო, ოლეგ ბლოხინის გუნდი მისხალს არ უთმობდა სამქულიანზე დაგეშილ იტალიას, უფრო ცოცხლად და ტემპიანად უტევდა და ამ დროს ტონის კლასმა თავისი გაიტანა — საჯარიმოში ჩაწოდებისას ანდრეი რუსოლმა „ფიორენტინას" ბომბარდირს მაისურზე დაქაჩა და პენალტი მასიმო ოდომ აუღელვებლად აქცია გოლად — 1:0.

აქ გაწყდა ძაფი, იტალიას ერთი ბურთი სჭირდებოდა დასამშვიდებლად და მერე ხომ იცით, „სკუადრამ" როგორ იცის შენარჩუნებაზე თამაში? უკრაინა თავისას შეცადა, მაგრამ ტონიმ არ მოისვენა — მე-80 წუთზე ანტონიო დი ნატალეს უგრძესი პასი მკერდზე მიიღო და კარდაკარგულ ალექსანდრ შოვკოვსკის ცხრიანში დაუქუხა — აქ კი ამოისუნთქა „სტადიო ოლიმპიკომ".

ოლეგ ბლოხინი ნამატჩევს მსაჯს გადასწვდა, პენალტის მართებულობაში რაღაც ეჭვი მეპარებაო. „იტალიამ დღეს ისე კარგად ვერ ითამაშა, როგორც მუნდიალის მეოთხედფინალში, როცა 3:0 მოგვიგო. და მაინც, მათ დაიმსახურეს გამარჯვება."

„სკუადრამ" 4-3-3 სქემით დაიწყო და ასევე ჩაამთავრა: ნახევარდაცვაში მთავარი ფიგურა, ცხადია, ანდრეა პირლო იყო. თავდასხმაში ტონი ცენტრფორვარდობდა, ხოლო სიღრმიდან ალესანდრო დელ პიერო და ვინჩენცო იაკინტა ეხმარებოდნენ. შემტევი სამეულიდან ყველაზე ინერტული დელ პიერო იყო და მის ნაცვლად შესულმა დი ნატალემ უფრო ფხიანად იბურთავა.

ბუფონი რომ თანაგმირად ჩავთვალეთ, უკრაინელების „ბრალია" — უკვე მე-3 წუთზე მან ოლეგ გუსევს ფეხით აუღო ბურთი. არადა, მომენტი იყო, თითებს ჩაიკვნეტდი. სტუმართაგან გუსევი იმდენად არა, უფრო ანდრეი ვორონინი ამწვავებდა თამაშს და როგორმე ცდილობდა, ანდრეი შევჩენკოს არყოფნის გაბათილებას. ვორონინი გამთამაშებლობასაც კისრულობდა და რამდენჯერმე ფაბიო კანავაროსა და მარკო მატერაცის გაბითურებაც გაბედა — მეწყვილეც რომ ჰყოლოდა, იტალიას ძალიან ცუდად წაუვიდოდა საქმე, რადგან ბუფონიც ადამიანია და ამდენს ალბათ ვერ გაუძლებდა. „ჯიჯიმ" მარტო სამჯერ ანატოლი ტიმოშჩუკი გაამწარა, ორჯერ კი ოლეგ ნაზარენკოს შორიდან გასროლილი მოიგერია.

მოკლედ, რა გვინდა ვთქვათ: „აძურის" დაცვას ნაპრალები ბლომად ჰქონდა და სადაც უშევჩენკო უკრაინა პოულობდა ამ ნაპრალებს, 11 ოქტომბერს ეგებ ჩვენებმაც...

რაც შეეხება გატუზოს, თბილისში მის ადგილას ან მაურო კამორანეზი, ან სიმონე პეროტა ითამაშებს — ეგაა, პეროტას მანამდე გამოჯანმრთელება ძალიან საეჭვოა. აი, თავდასხმას კი დონადონი, ალბათ, ხელუხლებელს დატოვებს.

„ვფიქრობ, ნაკრების ფეხბურთელთა 90 პროცენტი ოპტიმალური ფორმისგან შორსაა. მუნდიალის შემდეგ ეს ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა დღეს ვიგრძენი, რომ ბიჭები წინა თვესთან შედარებით უკეთ არიან. მე დღეს დიდი გუნდური სული, მოგების წყურვილი დავინახე. ხომ ხედავთ, საფრანგეთმა შოტლანდიაში წააგო, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რა მძიმე ჯგუფში ვართ. ამიტომაც მომდევნო მატჩებშიც ქულათა მაქსიმუმი უნდა ავიღოთ" — პირღიმილიანი საუბრობდა დონადონი და, როცა უთხრეს, „სტადიო ოლიმპიკო" გისტვენდათო, მშვიდად უპასუხა, მსგავსი არაფერი გამიგია, პირიქით, ფანები მაგრად გვეხმარებოდნენო...

ილია ნანობაშვილი

მხსნელი სახელად შკერლა

ფარერები 0:1 ლიტვა

0:1 შკერლა (89)
ფარერები: მიკელსენი, დანიელსენი, პ. ჰანსენი (ა. ჰანსენი 90), მორტენსენი, ბენიამინსენი, ე ბორგი, დიურჰუუსი, თომასენი, კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი (ნილსენი 81), სამუელსენი (ფრედერიკსბერგი 73)
მწვრთნელი: მარტინ ოლსენი
ლიტვა: კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, პაულაუსკასი, შკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, დ. ჩესნაუსკისი, მიცეიკა, მიკოლიუნასი (კავალიაუსკასი 62), სავენასი (კალონასი 46), დანილევიჩუსი, პოშკუსი (ბენიუსისი 70)
მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი
გაფრთხილება: თომასენი, პ. ჰანსენი, მორტენსენი
მსაჯი: ანტონი ბუტიმერი (ირლანდია)
1 982 მაყურებელი

ლიტვა განახევრებული შემადგენლობით ეწვია ფარერებს და, ალბათ, ამიტომაც ვერ მოუგრიხა კისერი დროულად. მცველმა ანდრიუს შკერლამ მხოლოდ ბოლოსწინა წუთზე ამოსცხო იღბლიანად ნაკუთხურალ ბურთს და მანამდე ყოჩაღად მოთამაშე კუნძულელთა მეკარეს შანსი არ დაუტოვა — იაკუპ მიკელსენმა მართლაც გვარიანად დაუჯიჯგნა ნერვები ბალტიისპირელებს, დევიდას ჩესნაუსკისს კი მეორე ტაიმის შუაწელს „მკვდარი" ბურთი აუღო.

ალგიმანტას ლიუბინსკასის ბიჭები უტევდნენ, ფარერელები კი თერთმეტი კაცით დაცვაში იდგნენ. მოდი და, ნუ გაუგებ — წინა ორ თამაშში კუნძულელებმა 12 გოლი გაუშვეს.

მასპინძლებს ერთადერთხელ შეეძლოთ გატანა, მაგრამ კრისტიან იაკობსენმა 5-6 მეტრიდან კარს ააცილა. აქეთ კი, სანამ შკერლა შეაგდებდა, დარიუს მიცეიკას, მინდაუგას კალონასსა და შაიულიუს მიკოლიუნასს გაუცუდდათ ასპროცენტიანი მომენტები.

სასწაული უნდა მოხდეს, კუნძულელებმა ამ ჯგუფში ქულა აიღონ, ლიტველებს კი სამი თამაშიდან ოთხი მოუგროვდათ და მარტამდე ისვენებენ.

ილია ნანობაშვილი

ანდრიუს შკერლამ ბოლოს გაისროლა

უეფამ მილიონები გაანაწილა
„მილიონერებში" საქართველოცაა

უახლოეს ორ წელიწადში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფასგან 1,2 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს (755 420 ევრო) მიიღებს. ცხადია, არამარტო საქართველო — ლიუბლიანაში გამართულ უეფას აღმასკომის სხდომაზე პროგრამა „ჰეთ თრიქის" გეგმებზე იმსჯელეს და ეს თანხაევროპის ყველა ფედერაციას გადაეცემა.

ვფიქრობ, ეს დახმარება აუცილებელია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც, ვთქვათ, ჩვენი მასპინძელი სლოვენიაა. ანუ შედარებით ღარიბი საფეხბურთო ფედერაციების ბიუჯეტისთვის სოლიდური თანხებია" — განაცხადა უეფას აღმასრულებელ-განმკარგულებელმა ლარს-კრისტერ ოლსონმა, რომელიც, გეხსომებათ, თბილისშიცაა ნამყოფი.

ლუკა თალაკვაძე

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
I წრე. 9 ტური

რაჭა 0:1 გაგრა
ამერი 2 0:1 ზესტაფონი 2
ჩიხურა 2 0:2 მესხეთი
სპარტაკი 0:3 ნ. დინამოელი
მგლები 5:1 მერცხალი
ვიტ ჯორჯია 2 3:0 დინამო 2
გურია 2:2 მალაროელი
მეშაძრე 1:1 სამტრედია
ოლიმპი 2:0 მეშახტე

მგლები	9	8	1	0	17:2	25
მესხეთი	9	6	2	1	17:6	20
ნ. დინამოელი	9	6	1	2	15:6	19
გაგრა	9	5	1	3	13:7	16
მეშაქრე	9	4	3	2	10:9	15
ვიტ ჯორჯია 2	9	4	2	3	19:7	14
ოლიმპი (თბ)	9	4	2	3	13:10	14
სპარტაკი	9	4	1	4	8:9	13
ჩიხურა 2	9	3	3	3	8:9	12
დინამო 2	9	3	2	4	10:9	11
მეშახტე	9	3	2	4	12:13	11
მალაროელი	9	2	4	3	10:10	10
ზესტაფონი 2	9	2	4	3	7:10	10
სამტრედია	9	2	4	3	14:18	10
მერცხალი	9	2	2	5	8:17	8
ამერი 2	9	1	4	4	8:13	7
რაჭა	9	1	2	6	7:21	5
გურია	9	0	2	7	6:23	2

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

თაღლითობა VS კლასი

ბიჭბუჭებმა საფრანგეთი დაამარცხეს

შოტლანდია 1:0 საფრანგეთი

1:0 კოლდუელი (67)
შოტლანდია: გორდონი, დეილი, ალექსანდერი, გ. კოლდუელი, პრესლი, ვეირი, ბ. ფერგიუსონი, დ. ფლეტჩერი, მაკკალოხი (ტილი 58), ჰარტლი, მაკფადენი (გ. ოკონორი 72)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
საფრანგეთი: კუპე, სანიოლი, ტურამი, ბუმსონგი, აბიდალი, რიბერი (ვილტორდი 74), ვიეირა, მაკელელე, მალუდა, ანრი, ტრეზეგე (საა 62)
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
გაფრთხილება: მაკფადენი, მაკკალოხი, დეილი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
57 000 მაყურებელი

შოტლანდიამ შოტლანდიურად მოუგო საფრანგეთს, რომელსაც ამ საუკუნეში ევროპისა თუ მსოფლიოს შესარჩევი მატჩი არ წაუგია. რას ვგულისხმობთ შოტლანდიურად მოგებაში? ბურთიან პატრიკ ვიეირას დევიდ ვეირის ერთი ფეხი კოჭში მოხვდებოდა, მეორეთი კი ვეირი ბურთს მოარტყამდა, აქაოდა, ბურთზე ვითამაშეო. მთელი მატჩის განმავლობაში ასე „სხეპავდნენ" სქოთები მეტოქეს, ანუ ხელს უშლიდნენ ფრანგებს იმის კეთებაში, რაც დომენეკის გუნდმა თბილისში ფრიადზე შეასრულა.

მიუხედავად ამისა, ფრანგები მაინც „ქსოვდნენ" თავისებურად და თავიდან ისე ჩანდა, რომ მასპინძელთა კარში გოლის გატანა დროის ამბავი იყო.

ასეც მოხდა — პირველ ტაიმში სტუმრებმა ორჯერ გაიტანეს. ჯერ პატრიკ ვიეირამ შეაგდო თავით, მერე კი დავიდ ტრეზეგემ მაკრატელათი, მაგრამ რად გინდა, ორივე გოლი თამაშგარეს გამო გაუუქმეს.

უსწრაფესი ტიერი ანრი ვერ დაჰქროდა ისე, როგორც საქართველოსთან მატჩისას — ერთ მცველს რომ გასცდებოდა, მეორის ფეხები ელობებოდა. ანრი ორჯერ წააქციეს არჩათვლილ გოლებამდე და ორჯერვე თავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა. პირველად ძელს გაარტყა ბურთი, რომელიც ძელიდან მეკარე გორდონს მოხვდა თავში და გარეთ გამოვარდა, მეორედ კი სქოთთა კარის დარაჯმა პოზიცია შეარჩია სწორად და ბურთი მოიხელთა.

მთლიანობაში პირველი ტაიმის სურათი ასეთი იყო: ლილიან ტურამი და ჟან-ალენ ბუმსონგი საკუთარ ნახევარზე იდგნენ, დანარჩენი ფრანგები კი — მეტოქის ნახევარზე და მასპინძელთა არცთუ დალაგებული, მაგრამ მეომარი დაცვის ხაზის გარღვევას ცდილობდნენ.

მხოლოდ ერთხელ, ტაიმის დასაწყისში შეძლეს შოტლანდიელებმა სახიფათო მომენტის შექმნა — ტურამი ბურთს საკუთარი კარის სიახლოვეს, მოედნის გარეთ მიაცილებდა, მაგრამ მაკფადენი შეებრძოლა, წაართვა და კუპესგან ახლო კუთხეში დაარტყა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ კუპეს წინ რატომღაც ერთ-ერთი შოტლანდიელი აღიმართა და ფრანგთა მეკარის საქმე გააკეთა — ბურთი მოიგერია.

სულ ერთი იყო, რაც მასპინძლებმა შესვენებამდე გაახერხეს და არც მეორე ტაიმში მოუწყვიათ შტურმი — თავის ნახევარზე იდგნენ და აკრძალული თუ დაშვებული ილეთებით ეომებოდნენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს. ფაქტია, რომ შოტლანდიელთა ტაქტიკამ გაჭრა. მათი მთავარი კოზირი კუთხურები გახლდათ და ამით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ერთხელ არ გამოუვიდათ, მეორედ, მესამედ, მეოთხედ კი იხეირეს. პოლ ჰარტლიმ კუთხურიდან ჩააწოდა, კოლდუელმა კი ექვსიოდ მეტრიდან დაჰკრა ფეხით და კუპეს მარჯვენა კუთხეში გაუტანა.

ცხადია, ამის მერე ფრანგებმა უფრო მოუმატეს ტემპს და მასპინძელთა კართანაც მეტი ხიფათი იქმნებოდა, მაგრამ ბევრი მომენტიდან ერთიც ვერ გამოიყენეს. 86-ე წუთზე ტიერი ანრის შეეძლო ქულის გადარჩენა, თუმცა ახლოდან თავური უხეიროდ დაჰკრა — პირდაპირ ხელებში მიუვიდა გორდონს.

ეს სწორედ ისეთი მატჩი იყო, როცა უმაღლესი კლასის ნაკრები, საფრანგეთი, უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, მებრძოლ სქოთურ სულთან დამარცხდა.

რაიმონ დომენეკი კი ნამატჩევს გაბრაზდა. ფრანგი მწვრთნელის აზრით, როცა მასპინძლები დაწინაურდნენ, ბურთის მიმწოდებელი ბიჭბუჭები სტუმრებისთვის ბურთის მიწოდებას აყოვნებდნენ: „ვიცოდი, რომ შოტლანდიაში სამართლიანად თამაშობდნენ, მაგრამ ამ მატჩის შემდეგ შთაბეჭდილება წამიხდა. პატარა ბიჭები აშკარად დარიგებულნი იყვნენ და თამაშის ტემპს გვიგდებდნენ".

უოლტერ სმიტმა დომენეკის კომენტარზე გაიცინა: „ვფიქრობ, მსგავსი რამ შეიძლება, ნებისმიერ ქვეყანაში მოხდეს. თუ ბიჭები ბურთის მიწოდებას უგვიანებენ მეტოქეს, ესე იგი, შოტლანდია იგებს, ეს კი კარგია".

ვაჟა ხუციშვილი

შოტლანდია	3	3	0	0	9:1	9
საფრანგეთი	3	2	0	1	6:2	6
იტალია	3	1	1	1	4:4	4
ლიტვა	3	1	1	1	3:3	4
საქართველო	3	1	0	2	8:6	3
უკრაინა	2	1	0	1	3:4	3
ფარერები	3	0	0	3	0:13	0

AFP გლობუსიდან

შოტლანდიელებმა გრეგორი კუპეს კართან ბევრი სახიფათო მომენტი ვერ შექმნეს, თუმცა სამი ქულა მაინც გლაზგოში დაიტოვეს

სამკვირიანი შესვენება „ამერმა" და „ჩიხურამ" ამხანაგური მატჩისთვის გამოიყენეს და გუშინწინ საგურამოში, „ამერის" ბაზაზე შეხვდნენ ერთმანეთს. აქვე ვთქვათ, რომ ბაზის მშენებლობის დასრულებას ჯერაც ბევრი უკლია, თუმცა ერთი მოედანი ისეთ მდგომარეობაშია, კაცი წუნს ვერ უპოვის.

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამერელთა იერიშებით დაიწყო. გიორგი დეკანოსიძეს ორი საგოლე შანსი მიეცა, დენის დობროვოლსკიმ კი შორეული დარტყმით ბურთი ძელსაც გაარტყა.

მერე კი, როგორც არაერთხელ მომხდარა, გოლი სხვა გუნდმა გაიტანა. მიხეილ კაკალაძემ გრძელი პასი მიილო, ზურაბ ქვაჩახიასთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა.

ამის მერე თამაშმა ისევ „ჩიხურას" ნახევარზე გადაინაცვლა, გამთანაბრებელი კი მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილმა გრიგოლ დოლიძემ გაიტანა.

ტაიმის ბოლო წუთები საჩხერელებმა პირწმინდად ჩააგდეს — 5-წუთიან მონაკვეთში დავით ბოლქვაძისგან (ორჯერ) და დავით სევასტოპულოსგან სამი გოლი გაუშვეს.

შესვენების მერე მწვრთნელებმა ბლომად შეცვლები განახორციელეს, საგოლე მომენტები კი მწირად შეიქმნა. ამათგან ყველაზე ნაღდი ამერელი ბესიკ ჩიმაკაძისა იყო, რომელმაც უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა კარს.

და ერთიც: ოთხი ამერული გოლიდან ამ გუნდის საუკეთესო მეგოლის, სულიკო დავითაშვილისა არც ერთი იყო. სამაგიეროდ, „აბრეზამ" სამი საგოლე პასი მიითვალა.

ამერი: ქვაჩახია (ნადირაშვილი 68), დიდავა, დავითნიძე, ხვადაგიანი (კედელაშვილი 46), ჩიკვილაძე, დოლიძე (ჯელაძე 55), ბოლქვაძე (ნიკოლაიშვილი 75), დობროვოლსკი (გაბისკირია 57), დეკანოსიძე (სილაგავა 63), სევასტოპულო (ტატანაშვილი 75), დავითაშვილი (ჩიმაკაძე 75).

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ჩიხურა: დოლაძე (მწყერაშვილი 46), ბრეგვაძე (თავბერიძე 46), ბურნაძე (გვეტაძე 46), ბეგ. თედორაძე (ევაძე 30), მერებაშვილი, ჩომახიძე, სტეფანიშვილი, მესხი (ჩხაიძე 46), ეპანი, ჟიიპა, კაკალაძე (მიქაძე 46).

კოტე ძეძელია

ბრაზილიური დებიუტები

ბრაზილიელი ფეხბურთელებით გაძლიერებულმა „ზესტაფონმა" შაბათს ამხანაგური მატჩი გამართა თბილისის „მერანთან" და 3:1 იმარჯვა.

იმერულ გუნდში ოთხივე ბრაზილიელმა ითამაშა, გოლები კი ზურაბ იონანიძემ (მე-11 წუთზე პენალტით) და გიორგი ჭელიძემ (23-ე და 36-ე წუთებზე) გაიტანეს.

„ზესტაფონის" პრესსამსახურის ცნობით, თბილისურ შეკრებაზე მყოფი გუნდი უახლოეს დღეებში კიდევ ჩაატარებს ამხანაგურ მატჩებს და მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძეც ამის შემდეგ გადაწყვეტს, დაიტოვოს თუ არა ბრაზილიელები.

„ზესტაფონმა" „მერანთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *რ. კვასხვაძე, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, დოს სანტოსი, ილანი, გ. ჭელიძე (ვ. თურმანიძე 46), ბ. ნოზაძე (კ. ჩხეტიანი 46), საჯაია (ძამსაშვილი 46), ვიეირა, ფიფია, იონანიძე (მავრაო 46).*

ბაჩა შალამბერიძე

ბარაბაძე დნიპროს დაეკონტრაქტება

18 წლის რევაზ ბარაბაძე რომ უკრაინულ „დნიპროშია", გეხსომებათ. ტანმაღალი თავდამსხმელი სამიოდ თვის წინ ჩავიდა ოლეგ პროტასოვის გუნდში, თუმცა კონტრაქტი არ გაუფორმებია — მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში თამაშობს.

„დნიპრომ" გუშინ სიმფეროპოლის „ტავრიას" 2:0 მოუგო, ბარაბაძე 77-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და კარგი მომენტიც გაჩარხა, როცა ორი მეტოქე მოატყუა და მეკარემ აუღო. პროტასოვმა ქართველზე თქვა, მომდევნო შეხვედრაშიც (კიევის „დინამოს" დუბლებთან) ვათამაშებ, ის უკვე სრულწლოვანია და კონტრაქტის გაფორმებაც შეიძლებაო.

შეგახსენებთ: „დნიპრომდე" ბარაბაძე „თბილისში" თამაშობდა.

ილია ნანობაშვილი

საქართველოსთვის გზა დაგრძელდა

მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპი. I წრე

რუმინეთი 20:8 საქართველო

7 ოქტომბერი. ბუქარესტი

რუმინეთი: ვლაიკუ, ბრეზოიანუ, ფერკუ, დასკელუ (ტეოდერუსკუ), გონტინიაკი, დიმოფტე (ტოფანი), სირბუ; პ. ბელანი (პოპესკუ), მავროდინი, ბ. ბელანი (რაციუ), სოკოლი, პეტრე, კოროდიანუ, მანტა, ტონიცე

1ლ: გონტინიაკი; 5ს: ვლაიკუ

საქართველო: ურჯუკაშვილი (გ. კაჭარავა), მაჩხანელი (შკინინი), დ. კაჭარავა, ი. გიორგაძე, ხამაშურიძე, ბარკალაია, აბუსერიძე (სამხარაძე); ზერაქაშვილი (კუთარაშვილი), შველიძე, აშვეთია (კოპალიანი), ზედგინიძე, გორგოძე, ი. მაისურაძე (ურუშაძე), ლაბაძე, უდესიანი (დიდებულიძე)

1ლ: ზედგინიძე; 1ს: ურჯუკაშვილი

მსაჯები: უეინ ბარნსი, სტიუარტ თერჰიგი, ჯონათან მეისონი (ინგლისი)

მატჩის მსვლელობა: 0:3 (10), 0:6 (29), 0:9 (40), 3:9 (41), 3:14 (44), 3:17 (65), 8:17 (76), 8:20 (80)

იცოცხლეთ, ძალიან კარგი იქნებოდა, შაბათს ბუქარესტში საქართველოს რომ მოეგო და პრაქტიკულად, პირდაპირ გასულიყო საგაისო მსოფლიოს თასზე, მაგრამ პირიქით კი მოხდა. ჩვენები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის პირველივე ეტაპზე სტუმრად დამარცხდნენ რუმინეთთან და ახლა საფრანგეთში გასამართი მსოფლიოს თასის საგზურს მომდევნო რაუნდში თუღა მოიპოვებენ.

მატჩის წინა დღეს, პარასკევს, მსოფლიო რაგბის მმართველმა IRB-იმ, საგანგებო დელეგაციას რუმინეთში ჩაატანინა ვებ ელისის სახელობის მსოფლიოს თასი, რაკიღა კარპატელები მაინცდამაინც მატჩის დღეს მართავდნენ რაგბის ზეიმს და ფრიად ბობოლა სტუმრებიც მიპატიჟებულნი ჰყავდათ. ერთი სიტყვით, რუმინელებს უკვე ისე ეჭირათ თავი, რომ მეექვსე მსოფლიოს თასზე პირველივე ცდიდან გავიდოდნენ. ასეც მოხდა და ამაში რუმინელებს სასტვენი ახალბედა ინგლისელმა მსაჯმა უეინ ბარნსმაც შეაშველა.

სადებიუტო ათ წუთში ინგლისელმა რეფერიმ ბარე ოცჯერ დააჯარიმა ჩვენები და აქ-იქ ისეთი ჯარიმები „გამოავლინა“, თვით რუმინელებსაც გაუკვირდათ. ერთი სიტყვით, ბარნსმა იმდენი ქნა, ჩვენს დალაგებული დაცვას საკუთარი ნახევრიდან თავი არ გამოაყოფინა, ხოლო მასპინძლებს ექვსი ქულა მიართვა. ჰოდა, ეს ინგლისელი მსაჯი თავიდანვე რომ მიდგა ქართველებს, ბოლომდე აჯარიმა და აჯარიმა. პირველი ტაიმის ბოლოს ბარნსმა გია ლაბაძის ფეხით უწესო თამაში რომ დაინახა და ჩვენიანი ათი წუთით გააგდო, მეორე ტაიმში რუმინელთა ვებერთელა მორკინალის ალეკსანდრუ მანტას ზღვარგადასული უხეშობა მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შეაფასა. მანტამ ორი წუთის შუალედით ჯერ ილო მაისურაძე დაწიხლა, მერე კი ოთარ ბარკალაია კისერში შებოჭა, რაც დიდ რაგბიში თვით ლეგენდარულ ტანა უმაგას არ ეპატია. ბარნსმა ვერც ის დაინიხა, ტონიცემ მალხაზ ურჯუკაშვილი წესების დარღვევით მწარედ რომ დასცა. ასეთი რამ კი ყვითელი ბარათით კი არა, სარაგბო ტრიბუნალით ისჯება. ის, რომ მსაჯი მასპინძლების „იქნებოდა“, რაგბიში კარგად ჩახედულებს არ ესწავლებათ. ანუ მსოფლიო რაგბიში ფეხმოკიდებულია ნათლიმამობა და პროტექციონიზმი. რუმინეთი კი IRB-ის სათვალავით, ბობოლების შემდეგ სიაშია, ანუ მეორე დონის ქვეყანაა და შემწეობით სამ წელიწადში მილიონ ნახევარ გირვანქას მიიღებს მაშინ, როცა იგივე დონის საქართველოს სარაგბო აკადემიის მოსაწყობად ამავე პერიოდში ოდენ 360 ათასი ეკუთვნის.

რაც შეეხება მატჩს, რუმინეთმა საქართველოს აჯობა აუტებში, შერკინებაში, მოლში, სოლო გარღვევებსა და მიძალებაში. რაც მთავარია, კარპატელებმა ტაქტიკურად გამართულად ურტყეს ფეხით მაშინ, როცა ქართველებმა რამდენჯერმე უაზროდ სცადეს ფეხით თამაში.

საქართველო თავს მედგრად იცავდა და არეულ თამაშში მეტოქეზე უკეთ უტევდა, მაგრამ როცა მსაჯი რუმინელებისთვის აღარ სტვენდა, ბურთის წინ გავარდნის გამო ბევრი შანსი ჩაუფლავდათ.

პირველი ტაიმის შუისთვის რუმინეთი 6:0 იგებდა. იქამდე ჩვენებმა მასპინძლებს ორი სალელოე შეტევა ჩაუშალეს და აქედან რომ არაფერი გამოუვიდათ, კარპატელებმა ფლორინ ვლაიკუს დაარტყმევინეს ორი ჯარიმა.

ამის შემდეგ ლაბაძემ იმათ მე-10 ნომერს მოგერიებაზე დაუფარა, თვითონ შეჰყვა ბურთს, მაგრამ ვლაიკუმ მისწრო და ვითარება განმუხტა. სანამ ტაიმის ბოლო წუთზე მსაჯი გია ლაბაძეს ათი წუთით გააგდებდა, ჩვენები შერკინებით მიაწვნენ მეტოქეს, ლამის ლელომდე შეათრიეს, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა დავით ზერაქაშვილის უწესო თამაში „დაინახა“ და მთავარ არბიტრს ციმ ციმ უპატაკა.

მეორე ტაიმში ქართველებს ბლომად მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ტაიმის დასაწყისშივე კაცნაკლულებმა ლელო რომ გაუშვეს, თითქოს გატყდნენ და ველარც ხელდახელ თამაში ააწყვეს. ჩვენებს რამდენჯერმე შეტევაში წინ გაუვარდათ ბურთი, რუმინელი ვლაიკუ კი საჯარიმოებიდან მშვიდად ურტყამდა.

სათქმელია, რომ ქართველებს აკლდათ საკვანძო მოთამაშეები პალიკო ჯიმშელაძე და აქვსენტი გიორგაძე. დისკვალიფიციის გამო არ თამაშობდა მუხლმაგარი მოიერიშე რევაზ გიგაური. მათი სრულფასოვანი შემცვლელი კი რუმინეთის დონის გუნდთან რომ არ გვყავს, ეს შაბათსაც გამოჩნდა. რუმინელებსაც არ ჰყავდათ თავიანთი თილისმა პეტრე მიტუ, ვინც სამი წლის წინ გამოეთხოვა ნაკრებს, მაგრამ საგანგებოდ საქართველოსთან მატჩებისთვის ბრუნდებოდა ხოლმე. რუმენელები შეჩვეულები არიან მიტუს გარეშე თამაშს და მისი არყოფნა იგივეა, ჩვენებმა რომ იძახონ „ლეონსიო“ აღარ გვყავსო.

ახლა ქართველებს ისღა დარჩენიათ, მეორე ცდიდან გავიდნენ მსოფლიოს თასზე. საამისოდ 21 ოქტომბერს თბილისში სუსტი ესპანეთი უნდა გაასაღონ და პორტუგალია-რუსეთის შორის უკეთესს დაელოდო. პორტუგალია ლისაბონში მასპინძლობს რუსეთს. ამ მატჩის გამარჯვებულს საქართველო შინ და გარეთ ეთამაშება და აქ გამარჯვებული მსოფლიოს თასზე წავა. წაგებული კი ბრძოლას აფრიკა — ამერიკის რეპეშაჟში გააგრძელებს. რაც ძალიან რთულია და მომქანცველი გზაა. ცნობისთის, შაბათსავე პორტუგალიამ სტუმრად 0:83 წააგო იტალიასთან.

გაჩო სვანიძე

რუმინელებმა მატჩზე ვებ ელისის თასიც კი „დაპატიჟეს“

იშვიათი ეპიზოდი: ქართველებმა რუმინელებს გადაუარეს

სპორტული პრესის მაღალი სტუმარი

ჯანი მერლოს სამი დღე საქართველოში



ხვალ, გამთენიისას თბილისში ჩამოდის სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ჯანი მერლო.

საპატიო სტუმარი საქართველოში სამ დღეს დაჰყოფს და ეს სამი დღე უაღრესად დატვირთული იქნება — ხვალვე აიპს-ის თავკაცი შეხვდება საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ეწვევა სპორტის აკადემიასა და დიღმის საჩოგბურთო კორტებს, დაათვალიერებს სპორტის მუზეუმს.

ვიზიტის პროგრამაშია სტუმრობა გორსა და მცხეთაში, თბილისის დათვალიერება, საქართველო — იტალიის საფეხბურთო მატჩზე დასწრება და, რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, შეხვედრა კოლეგებთან, ანუ სპორტულ ჟურნალისტებთან.

კალათბურთი

მანუალური სტაბილურობა

ცინცაძეს ბომბარდირობა არ შეერგო

გიორგი ცინცაძე ესტონეთში ყოჩაღობს

ევროპაში სეზონი ნელ-ნელა ხურდება და ქართველი ლეგიონერებიც თანდათან საქმდებიან. გასულ კვირაში საქართველოს ნაკრების სამმა წევრმა ითამაშა, რომელთაგან ყველაზე გამორჩეული „ესტონელი“ გიორგი ცინცაძე გახლდათ.

ცუდი ის მოხდა, რომ „როკმა“ წააგო, თორემ ცინცაძემ თავისი საქმე კი გააკეთა — ტარტუელთაგან ყველაზე მეტი ქულა მოიხვეჭა. „როკერები“ სტუმრად „ვენტსპილსს“ ეთამაშებოდნენ და, რომ იტყვიან, უიმედოდ დამარცხდნენ.

ცინცაძემ მოედანზე მყოფთაგან ყველაზე მეტი, 37 წუთი ითამაშა და 17 ქულა დააგროვა. ქართველი გამთამაშებელი არაზუსტად ისროდა საშუალო მანძილიდან, ოთხიდან ყველა სროლა ააცილა, თუმცა სამქულიანები საკმარისად ჩააგდო — 11 ცდიდან 5.

ტარტუელები პირველი ტაიმის შემდეგ 14 ქულით აგებდნენ, თუმც მეორე მეოთხედში თავი გამოიდეს, რაც უმეტესწილად ქართველის აქტიურობით იყო განპირობებული და როცა გადამწყვეტი ათწუთეულის წინ ჩამორჩენა 4 ქალამდე შემცირდა. „როკმა“ მოგებაზეც გაიწია, მაგრამ ვენტსპილსელთა ამერიკელმა ენტონი შენონმა ქულათა სეტყვა დაატეხა ტარტუელებს და ცინცაძის გუნდმა 65:80 წააგო.

სრული დატვირთვით ათამაშდა გიორგი მარკოიშვილიც, რომელმაც გასულ ჯვირაში ორ ადრიატიკის ლიგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. მოსამზადებელ შეხვედრებში მარკოიშვილი გამორჩეული იყო, თუმც გადაჭრით ვერ ამბობდა, ხუთეულში იქნებოდა თუ არა. დაიწყო სეზონი, „ოლიმპიამ“ ადრიატიკის ლიგაში 3 ტური მოილია და აქედან საწყის ორ მატჩში ქართველმა ხუთეულში ითამაშა.

სამწუხაროდ, „მანო“ ბოლო მატჩში არ იყო დამწყებთა შორის, თუმც მანამდელ შეხვედრებში მწვრთნელისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიუცია. მარკოიშვილი ძალიან სტაბილურად თამაშობს — სამივე ოფიციალურ მატჩში თითქმის ერთნაირი შედეგიანობა გამოიჩინა.

ჩვენც მივყვეთ: მანუჩარმა პირველ ტურში „სლოვანს“ 11 ქულა ჩაუგდო, მეორეში „ბუდუჩნოსტს“ — 10, ხოლო გუშინწინაც 10 ქულა მიითვალა „პარტიზანთან“. ამ მატჩებიდან „ოლიმპიამ“ მხოლოდ ბოლო შეხვედრა წააგო და ადრიატიკის ლიგაში ლიდერთა შორისაა. აღსანიშნავია, რომ მარკოიშვილი გამორჩეული სიზუსტით ესვრის და მატჩში 2 სროლაზე მეტს არ აცილებს.

თუ „მანო“ ქულების გროვებაში სტაბილურია, ფარზე თამაშში ამით თავს ვერ მოიწონებს. „სლოვანთან“ და „პარტიზანთან“ მან ჯამში 1 ბურთი მოხსნა, როცა „ბუდუჩნოსტთან“ ერთბაშად 9(!) მოუგროვდა.

დაბოლოს, ვახტანგ ნაცვლიშვილისაც ვთქვათ, რომელიც ძველებული რიხით ვერ თამაშობს, მაგრამ მისი გუნდი წარმატებულ სვლას აგრძელებს. „დიჟონმა“ საფრანგეთის გასულ ტურში შინ „ლე ავრი“ დაამარცხა და ოთხიდან სამი მოგებით ცხრილის მეოთხე საფეხურზეა. ეს ის „ლე ავრია“, ახლახან გორდონ ჰერბერტის „პოორტეზი“ რომ გაანადგურა. საკუთრივ ამ ტურში კი პოელები კვლავ დამარცხდნენ — ამჯერად შინ „გრაველინთან“ და ჰერბერტის გუნდი ახლა ცხრილის ფსკერზეა დალექილი.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
გიორგი ცინცაძე	როკი	ესტონეთის ჩემპიონატი	ვენტსპილსი	ს	65:80	37	17	3	3
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	ბუდუჩნოსტი	შ	91:85	31	10	9	1
		ადრიატიკის ლიგა	პარტიზანი	ს	70:84	20	10	0	0
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	საფრანგეთის ჩემპიონატი	ლე ავრი	შ	72:67	9	0	2	0

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

ძალოსნობა

მსოფლიოს ჩემპიონატი
სანტო დომინგო. დომინიკის რესპუბლიკა. 30 სექტემბერი – 7 ოქტომბერი

პროგრესი უმედლოდ

წუხელ სანტო დომინგოში, სადღაც კარიბეთის ზღვაში მდებარე დომინიკის რესპუბლიკის მთავარქალაქში, ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი მძიმეწონოსანი კაცების შეჯიბრით დასრულდებოდა.

უფრო ადრე, ანუ ჩვენი დროით შაბათ შუაღამისას, ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებისთვის დასრულდა.

არსენ კასაბიევის ტრავმის გამო ვანო გრიქუროვმა მხოლოდ ოთხი ძალოსანი აუშვა ფიცარნაგზე და მართალია, ამ ოთხეულს ციდან ვარსკლავები, ხოლო არენიდან მედლები არ მოუკრეფია, მაგრამ მსუბუქწონოსან ზვიად სამუკაშვილს თუ არ ჩავთვლით, ჩვენმა შტანგისტებმა საკმაოდ ნორმალურად იასპარეზეს.

ერთიცაა — გრიქუროვის შეგირდები ერთი-მეორეზე უკეთ გამოდიოდნენ, ანუ სამუკაშვილის ჩავარდნის შემდეგ 94 კგ. წონაში ახალბედა თეიმურაზ გოგიამ მე-17 ადგილი დაიკავა, ალბერტ კუზილოვმა — მეათე, ხოლო 105-კილოგრამიანთა შეჯიბრში გია მაჭავარიანი, სულაც მეშვიდე იყო.

თანმიმდევრობით მივყვეთ და გოგიამ ატაცში პირველივე ცდით დაძლია 160 კილოგრამი, მერე ხუთი კილოგრამით მძიმე შტანგას ვეღარ მოერია და აკვრაში კი სამივე ცდა გამოიყენა — ჯერ 190 კილორამი ასწია, მერე — 195 და ბოლოს 197. ჯამში გოგიამ 357 კილოგრამი დააგროვა.

კუზილოვის ორჭიდის შედეგი გოგიასაზე 20 კილოგრამით უკეთესი იყო. ალბერტმა ატაცში 167 და 172 კილოგრამი დაძლია და 177 კილოგრამს ვერაფერი მოუხერხა, ხოლო მეორე მოძრაობაში მხოლოდ მესამე ცდაზე დაიმორჩილა 205 კილოგრამიანი შტანგა.

ამ წონაში ჯამური 392 კილოგრამით მსოფლიოს ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა ყაზახი ილია ილინი, რომელმაც პირადი წონის ხარჯზე აჯობა მეორე და მესამე პრიზიორებს, პოლონელ შიმონ კოლეცკისა და რუს რომან კონსტანტინოვს.

105 კგ. წონაში ჩემპიონი პოლონელი მარჩინ დოლეგა გახდა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 415 (193+222) კილოგრამი დააგროვა და ოდენ ერთი კილოგრამით აჯობა რუს ლაპიკოვს, რომელმაც, თავის მხრივ, 8 კილოგრამით ჩამოიტოვა მესამე პრიზიორი, კიდევ ერთი რუსი კლოკოვი.

რაც შეეხება მაჭავარიანს, მან ჯერ 175 კილოგრამი აიტაცა, მერ — 180, ხოლო მესამე ცდაზე ამაოდ შეუტია 185 კილოგრამს. აკვრა ჩვენებურმა 210 კილოგრამით დაიწყო, მერე 215 ვერ ასწია, თუმცა ვაბანკზე წავიდა, მესამე ცდაზე 217 კილოგრამი შეუკვეთა, ასწია კიდევ და ორჭიდის ჯამში ფრიად სოლიდური 397 კილოგრამით მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ფარიკაობა

მსოფლიოს ჩემპიონატი
ტურინი. იტალია. 30 სექტემბერი – 8 ოქტომბერი

ფრანგ მუშკეტერთა გუნდური ტრიუმფი

ტურინში მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ფრანგების სრული ტრიუმფით დასრულდა. ლეგენდარული მუშკეტერების შთამომავლებმა ჩემპიონატის დასკვნით დღეებში ქალიან-კაციანად გაილალეს, ექვსი გუნდური ოქროდან ოთხი არავის დაანებეს, ზედ თითო ვერცხლი და ბრინჯაო დაამატეს და გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულის სარგო ეროვნებათა თასი ალალად და უსაყვედუროდ ასწიეს.

პირველობის ბოლო ორ დღეს მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა და ამ ოთხ სახეობაში ფრანგებმა სამი ოქრო და ერთი ვერცხლი ირგუნეს. ქალთა დაშნის გუნდური შეჯიბრის ფინალშიც სწორედ ფრანგები ითვლებოდნენ ფავორიტებად, მაგრამ მოულოდნელად, ოქრო ჩინელებმა მოიპოვეს, რომლებმაც გადამწყვეტი მატჩი დიდი უპირატესობით — 45:26 მოიგეს.

სამაგიეროდ, დანარჩენ სამ ფინალში ფრანგებმა პირველობა არავის დაანებეს. ხმლით მოფარიკავე კაცთა გუნდური შეჯიბრის გადამწყვეტ მატჩში დარტანიანის შთამომავლებმა 45:41 აჯობეს უკრაინელებს, ასევე ხმალში, ოღონდაც ქალთა შორის, საფრანგეთის ნაკრებმა 45:42 მოუგო ამერიკას, ხოლო რაპირისტ კაცთა გუნდური ტურნირისა და მთელი ჩემპიონატის დასკვნით მატჩში მუშკეტერებმა 45:34 გაანადგურეს გერმანელები.

დაშნა. ქალები. გუნდური
1. ჩინეთი
2. საფრანგეთი
3. გერმანია

ხმალი. კაცები. გუნდური
1. საფრანგეთი
2. უკრაინა
3. რუსეთი

ხმალი. ქალები. გუნდური
1. საფრანგეთი
2. აშშ
3. რუსეთი

რაპირა. კაცები. გუნდური
1. საფრანგეთი
2. გერმანია
3. იტალია

ავთანდილ გუჯაბიძის ფოტო

სუ ტეტ სეპიმ და რო იაომ „ოქროს საწმისი“ თეთრი ღვინითაც დაასველეს და შავითაც

ციდან დაეშვნენ, ჭიქაში ჩაეშვნენ

დენის კოლიდინი

ღვინით სავსე ასლიტრიანი კასრი კიდევ ჰო, არ გვენანება, იმდენი გვაქვს, მაგრამ ეს ჩვენი ოქროს საწმისი მეორედ წაგვართვეს, ახლა უკვე იმ შორეული, ამომავალი მზის ქვეყნიდან ჩამოსულმა ცოლ-ქმარმა სუ ტეტ სეპიმ და რო იაომ.

საჰაერო ბურთებით ფრენაში საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატის მონაწილე უცხოელებმა არც სხვა რამ პრიზი დაგვანებეს და ყველაფერი წაგვართვეს, მაგრამ, როგორც ჩვენი ქვეყნის ჰაერნაოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი რევაზ უთურგაური ამბობს, მსოფლიოს უძლიერეს ბალონისტებთან ურთიერთობითა და შეჯიბრებებით უფრო მალე დავოსტატდებით, ვიდრე მაჩანჩალების მოწვევით. ამიტომაც, იმედია, მომავალში პრიზებს აღარ გავანიავებთ და რაღაცას ჩვენთვისაც დავიტოვებთ.

ასე იყო თუ ისე, პირველ გაფრენაში კახეთის გუბერნატორის სპეციალური პრიზი მოიგო უკრაინელთა ეკიპაჟმა, რომელსაც დენის კოლოდინი მეთაურობდა.

მეორე გაფრენაში იაპონელებმა იმარჯვეს და „ოქროს საწმისს“ დაეუფლნენ, ოღონდ რაკი ეს ჩვენი ეროვნული განძია, მასპინძლები მას ვერ შეელივნენ და ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს ამას წინათ მოჭრილი ათას დოლარად შეფასებული ოქროს მონეტა გადასცეს, რომელზეც „ოქროს საწმისია“ გამოსახული, რამაც ისინი ბავშვებივით გაახარა.

მესამე დღეს მეტად სახალისო, „ქართველი მეღვინეების თასი“ თამაშდებოდა. ამ პრიზს სახელად ერქვა თასი, თორემ ღვინით სავსე 100-ლიტრიანი კასრი იყო, რომელსაც სმოლენსკელი დიმიტრი გორბაჩოვის ეკიპაჟი დაეუფლა.

გუშინ თბილისში, შარდენის ქუჩაზე, თავშეყრილი ბალონისტები და მათი მასპინძლები შეჯიბრებების დამთავრებას თეთრი და შავი ღვინის სმითაც აღნიშნავდნენ, ბატონ გორბაჩოვს კი დალევის თავი აღარ ჰქონდა. როცა პრიზის გადასაცემად უხმეს, დიპლომი და კოხტა თასი — „საჰაერო ბურთი“ უბოძეს, ის ღვინით სავსე კასრი, გასაგებ მიზეზთა გამო, აღარ არსებობსო. მერე დააკონკრეტეს, გასაგებ მიზეზებში იმ კასრის გამოცლას ვგულისხმობთო. ჰოდა, ეს ამბავი გორბაჩოვს ეტყობოდა კიდეც, ოღონდ სულაც არ აფრენდა და ყველას უღიმოდა.

მაგრამ მივყვეთ შეჯიბრების პროგრამით გამართულ გაფრენებს, რომელთაგან მეოთხე არ გამართულა — როგორც თქვეს, უამინდობის გამო.

ბოლო, მეხუთე გაფრენაში, რომელმაც მცხეთიდან ალაზნის ველზე გადაინაცვლა, ისევ უკრაინელმა დენის კოლიდინმა იმარჯვა და ჩვენი საჰაერო ბურთით ფრენის პიონერის, ვლადიმერ გარაყანიძის სახელობის პრიზს დაეუფლა, ეს ჯილდო კი თეთრი ნაბადი და თეთრივე ფაფახი გახლდათ, რამაც უკრაინელებიც ძალზე გაახალისა და სხვებიც, რომლებიც ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ნაბად-ფაფახით რიგრიგობით იმოსებოდნენ და სამახსოვრო სურათებს იღებდნენ.

უკრაინელთა ეკიპაჟმა საერთო პირველობაში იმარჯვა და მცხეთამთიანეთის გუბერნატორმა ვასილ მაღლაკელიძემ იგი „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო, უძვირფასესი გამოცემით დააჯილდოვა. აქ მეორე ადგილზე ის ჩვენი მაგარი მსმელი გავიდა, მესამეზე კი — იაპონელი ცოლ-ქმარი.

გუშინ კიდევ ბევრი პრიზი და დიპლომი ჩამორიგდა „საინტერესო საგაზეთო მასალების მომზადებისთვის“ დიპლომებით დაჯილდოებულთა შორის კი იყო თქვენი მონა-მორჩილიც.

ავთანდილ ჭყვიშელი

ახალგაზრდებს კარიბეთში სიმძიმე დააკლდებათ

დღეს ღამით ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრები დომინიკის რესპუბლიკაში მიემგზავრება. კარიბული ქვეყნის დედაქალაქი სანტო დომინგო, რომელმაც ძალოსანთა მსოფლიო პირველობა მოილია, 12-15 ოქტომბერს ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენებურები ტატამზე 13-დან გავლენ. ბორის ფირცხელიანის შეგირდებმა წინასატურნირო შეკრება ბორჯომში გაიარეს და თბილისში გუშინ საღამოს დაბრუნდნენ. მოსამზადებელ ეტაპსა და ბიჭების შანსებზე მთავარ მწვრთნელს გუშინვე ვესაუბრეთ

— სანტო დომინგოში სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე ნაჭიდავები შემადგენლობა მიგვყავს. დანაკლისი მხოლოდ მძიმეწონოსანი ვახტანგ ზოიძეა. ამ წონაში მონაწილე საერთოდ არ გვეყოლება.

— მიზეზი რა არის, ტრავმა?

— ტრავმა არაფერ შუაშია. ფედერაციის გადაწყვეტილებით, დომინიკის რესპუბლიკაში მხოლოდ ნოდარ მეტრეველი, ბეთქილ შუკვანი და გიგა წიკლაური უნდა წაგვეყვანა. სწორედ ამ სამმა აჩვენა ევროპაზე ყველაზე უკეთესი შედეგი. მეტრეველი ჩემპიონი გახდა, შუკვანი ბრინჯაოს პრიზიორი, ხოლო წიკლაურს მედალი ძალით წაართვეს. ფედერაცია ამ სამეულს უშვებდა, დანარჩენები კი ნაწილობრივ დაფინანსებას მიიღებდნენ. სწორედ ასე მოხდა თენგიზ პაპოშვილის, დავით კარბელაშვილის და სოსო მსხალაძის შემთხვევაში. მძიმე წონაში კი... სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე მძიმეში ძველებურად კონკურენტუნარიანები ვერ ვართ.

— ორი წლის წინანდელ მსოფლიოზე სწორედ მძიმე წონაში ვიჩემპიონეთ...

— ლაშა გუჯეჯიანს ასაკი აღარ უწყობს ხელს, ისევე როგორც მაშინდელ ვიცე-ჩემპიონ ზაზა კედელაშვილს.

— ამჯერად რა შედეგს ელით?

— პროგნოზების კეთება არ მიყვარს. ამ შემთხვევაში კი ეს განსაკუთრებით ძნელიცაა. დომინიკის რესპუბლიკაში ჩასასვლელად ხანგრძლივი მგზავრობა მოგვიწევს და სავსებით შესაძლებელია, ამის გამო ბიჭებმა თავიანთი რეალური ძალა ვერ აჩვენონ. დომინიკური ვარჯიშები დამანახვებს, ვინ რა შედეგისთვის იბრძოლებს. თუ აკლიმატიზაციამ არ შეუშალათ ხელი, საკმაოდ კარგად უნდა გამოვიდნენ.

— ტრავმა ხომ არ აწუხებს რომელიმეს?

— სამწუხაროდ, მეტრეველს ტკივილგამაყუჩებლით მოუწევს ჭიდაობა. ეს აქედანვე გადაწყვეტილია. ნოდარმა მხრის ტრავმა ჯერ კიდევ ბორჯომულ შეკრებამდე მიიღო და ამის გამო ბოლომდე ვერ დაიტვირთა. თუმცა ფორმიდან მაინც არ ამოვარდნილა. მცირე ტრავმები სხვებსაც აწუხებთ, მაგრამ სერიოზული არაფერია.

— პირველი ვინ გავა ტატამზე?

— პირველი დღე მძიმეწონოსნებს დაეთმობათ და უჩვენოდ ჩაივლის. 13 ოქტომბერს მეტრეველი და მსხალაძე იჭიდავებენ, 14-ში — კარბელაშვილი და წიკლაური, 15-ში — პაპოშვილი და შუკვანი.

— დაბოლოს, რეალურად რა ძალის გუნდი გვყავს?

— საკმაოდ ძლიერი. იმედია, ეს ტატამზეც დამტკიცდება. ბიჭებს მედლებისთვის ბრძოლა აშკარად შეუძლიათ, მიუხედავად იმისა, რომ თავისზე უფროსებთანაც მოუწევთ დაჭიდება. სამწუხაროდ, ასაკის [illegible] დაკეთების პრეცენდენტები ძალიან ხშირია. ჩვენ კი ამ დარღვევას სასტიკად ვებრძვით. ეს რომ არა, სანტო დომინგოში რამდენიმე ისეთ ძიუდოისტს წავიყვანდით, სულ 2-3 თვე რომ დააკლდათ დაშვებულ ასაკამდე, თუნდაც მძიმეწონოსან ადამ ოქრუაშვილს, და მედლებსაც აუცილებლად მოვიპოვებდით. იმედია, სუფთა წესებით თამაში სათანადოდ დაგვიფასდება.

საქართველოს ნაკრები

60კგ	ბეთქილ შუკვანი
66კგ	თენგიზ პაპოშვილი
73კგ	გიგა წიკლაური
81კგ	დავით კარბელაშვილი
90კგ	სოსო მსხალაძე
100კგ	ნოდარ მეტრეველი

ტოპალოვი a5-ზე გაიჭედა

მეათე პარტიის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა 5:5. ვესელინ ტოპალოვმა და ვლადიმირ კრამნიკმა ბოლო ორ შეხვედრაში თითო-თითო მოგებ-წაგება გაცვალეს და ყველაფერი დარჩენილ ორ პარტიაში გადაწყდება.

ტოპალოვმა მეათე შეხვედრამდე ზედიზედ ორი პარტია მოიგო და სპეცილისტები მის ნაადრევ გამარჯვებაზე ალაპარაკდნენ, თუმც ასე არ მოხდა და პირველობისთვის ორივე დიდოსტატს ბლომად ოფლის ღვრა მოუწევს.

მეცხრე პარტია ბულგარელმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, უპირატესობას დაეუფლა და მთელი თამაშის მანძილზე არც გაუშვია. ტოპალოვმა ხელმწიფის ფლანგიდან დაარტყა კრამნიკს, ეტლებით მეფე გაუშეშა და 39-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადებინა.

მომდევნო პარტია მეტოქეებმა ფრთხილად დაიწყეს, მეხუთე-მეექვსე სვლაზე როქი გააკეთეს და იერიშებს შემდეგ მიმართეს. მოჭადრაკეებმა რამდენიმე ფიგურა გაცვალეს, ჯარი ლაზიერის ფლანგზე გადმოსხეს და ყურადღება a5 უჯრაზე მდგარ შავ პაიკზე გადაიტანეს. ბრძოლა ამ პაიკის გარშემო გაგრძელდა, შეტაკებებში რუსი უფრო გონივრულად მოიქცა, მეტოქეს დაფის არცერთი უჯრა არ დაანება და ხარისხით დაწინაურდა. ბრძოლის ქარცეცხლი მთელ დაფას მოედო, კრამნიკმა კვლავ ლაზიერის ფლანგზე გადაიტანა ყურადღება, ტოპალოვს a5 უჯრაზე მდგარი პაიკი ააცალა და 43-ე სვლაზე ხახამშრალი დატოვა.

ლაშა ბებეშძორი

დავითი გოლიათს ვერ შეწვდა

მძიმე წონა კვლავაც პოსტსაბჭოურია

მოსალოდნელი იყო და ასეც მოხდა — WBA-ს ვერსიით მძიმე წონის რუსმა ჩემპიონმა ნიკალაი ვალუევმა ჩიკაგოში გამართულ სატიტულო ორთაბრძოლაში მონტე ბარეტი დაჩაგრა, წოდება შეინარჩუნა და შედეგად, პროფესიული კრივის ოთხივე უმთავრესი საჩემპიონო ქამარი — WBA-სი (ასოციაციის), IBF-ის (ფედერაციის), WBC-სი (კავშირის) და WBO-სი (ორგანიზაციის) კვლავაც პოსტსაბჭოთა სივრცის მოკრივეებს არტყიათ წელზე — ვალუევს, რუს-ყაზახ ოლეგ მასკაევს, უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკოსა და ბელარუს სერგეი ლიახოვიჩს.

მეტოქეზე 48 კილოგრამით მძიმე და 22 სანტიმეტრით მაღალმა ვალუევმა ბარეტს მე-11 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოუმთავრა საქმე. არადა, ბრძოლის წინ, როგორც მოკრივეებს სჩვევიათ ხოლმე, ბარეტიც დიდ გულზე იყო და თავი ყიჩად ეჭირა — მე დავითი ვარ და ამ გოლიათს წავაქცევო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

კაცმა რომ სიმართლე თქვას, ბარეტმა გულიანად იჩხუბა და რუს გიგანტს, ვისაც ნაღდი კრივისა ბევრი არაფერი გაეგება, მაგრამ მართლაც რომ გოლიათური ზომა-წონით გადის ფონს, პრობლემებიც შეუქმნა. თავად ვალუევმაც აღიარა, ძნელი ბრძოლა იყო, მონტე აშკარად მონდომებული ჩხუბობდა, თუმცა, სადღაც მეოთხე-მეხუთე რაუნდში მივხვდი, რომ ჩემი მომგები არ იყოო.

ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეჩვიდმეტე ეტაპი

მიხაელს ბოლი გაუვიდა
ალონსო თითქმის ჩემპიონია

AFP

ფერნანდო ალონსო ზედიზედ მეორე ტიტულისკენ მიფრინავს

სეზონის ბოლოსწინა ეტაპის წინ საჩემპიონო გვირგვინის ორადორი პრეტენდენტი, მიხაელ შუმახერი და ფერნანდო ალონსო ცხრილის თავში გვერდიგვერდ კი იდგნენ, მაგრამ გერმანელი „ბარონი" სუძუკაში გამარჯვების შემთხვევაში, თუკი მისი ესპანელი კონკურენტი უქულოდ დარჩებოდა, გუშინვე გაინაღდებდა მერვე ტიტულს.

მაგრამ იაპონიაში ყველაფერი პირიქით მოხდა და სატურნირო ვითარებაც აბსოლუტურად საპირისპიროდ შეიცვალა: მიხაელის გამოთთშვამ და ფერნანდოს მოულოდნელმა მოგებამ საგვირგვინო ჩარხი პრაქტიკულად ასი პროცენტით მის სასარგებლოდ შემოატრიალა.

კვალიფიკაცია ფერარელებმა დამანოკაუტებელი უპირატესობით მოიგეს — მეორე საპოულე ნაწილში შუმიმ „სუძუკაზე" სისწრაფის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა, თანაც ახალი ტექრეგლამენტის შესატყვისი, თითქმის ორასი ცხენის ძალით დასუსტებული რვაცილინდრიანი ძრავით.

„წითლებმა" დასკვნით, მესამე 15-წუთიან სესიაშიც ყველას აჯობეს. მასამ წამის მეათედით ჩამოიტოვა მიხაელი და კარიერაში მეორედ მოიგო კვალიფიკაცია. მეორე სასტარტო რიგში ტოიოტელები — რალფ შუმახერი და იარნო ტრული განლაგდნენ ალონსოსა და ჯანკარლო ფიზიკელას წინ.

ერთი სიტყვით, ფერარელებს სტარტზე თავი ქუდში ჰქონდათ — მათ წინ არავინ იყო, „მტერ" ალონსოს კი შუმისთან მიღწევამდე ტოიოტელთა ბარიერი უნდა დაეძლია. ნანდომ უკვე პირველივე მოსახვევში საქმე სანახევროდ გაახერხა — ერთმანეთში დუელით გართულ ტოიოტელთაგან ტრული ჩამოიტოვა და უმცროს შუმახერს გამოუდგა.

მასამ და მიხაელმა უპრობლემოდ დაიცვეს მეწინავეობა, მათ უკან ბატონმა ფიზიკელას გაასწრო, ხოლო რაიკონენმა ორი პოზიციით იხეირა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მალევე, მესამე წრეზე, მასამ მიხაელი წინ გაუშვა. ამასთანავე, ფელიპეს თანაგუნდელი ლიდერის მდევართა შესაკავებლად მცდელობა არც დასჭირვებია — რალფიც და ფერნანდოც შუმის თავიდანვე საკმაოდ ჩამორჩნენ. ნანდომ კარგა ხანს პატარა შუმახერის გასწრებაც ვერ მოახერხა, ის კი არა, რალფზე ერთ-ერთი უშედეგო მიძალებისას ტრასას გადასცდა და მიხაელთან ჩამორჩენა ექვს წამამდე გაიზარდა.

მართალია, ალონსომ ორიოდ წრეში მაინც მოინელა რალფი, გვიანი პიტსტოპის შემდეგ კი ბრძოლას მასაზე წინ დაუბრუნდა, თუმც მიხაელთან ხუთწამიანი პასივის გამბათილებელი აშკარად ვერ იყო და მეორე ადგილსაც შეგუებული ჩანდა.

მაგრამ ბედმა მოულოდნელი საჩუქარი გადმოუგდო: სამასკილომეტრიანი დისტანციის ბოლო მესამედზე, მეორე საბოქსე შეჩერების შემდეგ მიხაელმა ერთი წრეც ვეღარ გაძლო — „ფერარის" ძრავამ ბოლი გაუშვა. ფერნანდოს „რენოს" კი ფინიშამდე პრობლემები არ გასჩენია და კარიერაში მე-15 გამარჯვებით თითქმის გაინაღდა ზედიზედ მეორე საჩემპიონო გვირგვინი.

25 წლის ესპანელ პილოტს საამისოდ უმცირესი რამ ესაჭიროება — თუ დასკვნით, ბრაზილიურ ეტაპს შუმახერი მოიგებს, ნანდოს სატიტულოდ სამერვეადგილო კინკილა ქულაც კი ეყოფა.

მიხაელი გამოთიშვის შემდეგ ნირწამხდარი არ ჩანდა, სკუდერიელთა მთელ შემადგენლობას ჩამოუარა და გულისამაჩუყებლად მოეფერა, მერე კი: „სატიტულო საკითხი ჩემთვის დაიხურა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ბრაზილიაში კონსტრუქტორთა თასის მოსაგებად ჩავალთ. ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს და სან პაულუში გუნდური პირველობის მოსაპოვებლად უნდა ვიბრძოლოთ."

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

იაპონიის დიდი პრიზი
8 ოქტომბერი. სუძუკა
დისტანცია 53 წრე — 307,573 კმ

1.	(5)	ალონსო (რენო)	1:23.53,4 (220,0 კმ/სთ)	
2.	(1)	მასა (ფერარი)	ჩამორჩა	16,2
3.	(6)	ფიზიკელა (რენო)		24,0
4.	(7)	ბატონი (ჰონდა)		34,1
5.	(11)	რაიკონენი (მაკლარენი)		43,6
6.	(4)	ტრული (ტოიოტა)		46,7
7.	(3)	რ. შუმახერი (ტოიოტა)		48,9
8.	(9)	ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)		1.16,1
9.	(12)	კუბიცა (BMW-ზაუბერი)		1.16,9
10.	(10)	როსბერგი (უილიამსი)		1 წრით
11.	(13)	დე ლა როსა (მაკლარენი)		1 წრით
12.	(8)	ბარიკელო (ჰონდა)		1 წრით
13.	(18)	დორნბოსი (რედ ბული)		1 წრით
14.	(15)	ლიუცი (ტორო როსო)		1 წრით
15.	(20)	სატო (სუპერ აგური)		1 წრით
16.	(21)	მონტეიერო (სპაიკერ MF 1)		2 წრით
17.	(22)	იამამოტო (სუპერ აგური)		3 წრით
18.	(19)	სპიდი (ტორო როსო)		5 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(14)	ვებერი (უილიამსი)	გაიარა 39 წრე
(2)	მშუმახერი (ფერარი)	36
(17)	კულჰარდი (რედ ბული)	35
(16)	ალბერსი (სპაიკერ MF 1)	21

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
მასა — 1.29,599 (233,3 კმ/სთ)

უსწრაფესი წრე
ალონსო — 1.32,676 (225,6 კმ/სთ)

	ბაჰრეინი 12 მარტი	მალაიზია 19 მარტი	ავსტრალია 2 აპრილი	სან მარინო 23 აპრილი	ევროპა 7 მაისი	ესპანეთი 14 მაისი	მონაკო 28 მაისი	დ.ბრიტანეთი 11 ივნისი	კანადა 25 ივნისი	აშშ 2 ივლისი	საფრანგეთი 16 ივლისი	ბელგია 30 ივლისი	იტალია 6 სექტემბერი	ფრანგეთი 27 სექტ.	იაპონია 10 ოქტომბერი	ჩინეთი 1 ოქტომბერი	ბრაზილია 8 ოქტომბერი	ბრაზილია 22 ოქტომბერი	ჯამი
1 ალონსო, რენო, ესპანეთი	10	8	10	8	8	10	10	10	10	4	8	4	–	8	–	8	10		126
2 მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია	8	3	–	10	10	8	4	8	8	10	10	10	1	6	10	10	–		116
3 მასა, ფერარი, ბრაზილია	–	4	–	5	6	5	–	4	4	8	6	8	2	10	–	–	8		70
4 ფიზიკელა, რენო, იტალია	–	10	4	1	3	6	3	5	5	6	3	3	–	3	5	6	6		69
5 რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი	6	–	8	4	5	4	–	6	6	–	4	6	–	–	8	–	4		61
6 ბატონი, ჰონდა, დ. ბრიტანეთი	5	6	–	2	–	3	–	–	–	–	–	5	10	5	4	5	5		50
7 ბარიკელო, ჰონდა, ბრაზილია	–	–	2	–	4	2	5	–	–	3	–	–	5	1	3	3	–		28
8 მონტეიერო, მაკლარენი, კოლუმბია	4	5	–	6	–	–	8	3	–	–									26
9 ჰაიდფელდი, BMW ზაუბერი, გერმანია	–	–	5	–	–	1	2	2	2	–	1	–	6	–	1	2	1		23
10 რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია	–	1	6	–	–	–	1	–	–	–	5	–	3	2	–	–	2		20

დე ლა როსა — 18; ტრული — 15, კულჰარდი— 14, ვილნევი, ვებერი — 7, კუბიცა— 6, როსბერგი — 4, კლიენი — 2, ლიუცი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

კონსტრუქტორთა თასი: რენო 195, ფერარი 186, მაკლარენი 105, ჰონდა 78, BMW ზაუბერი 36, ტოიოტა 35, რედ ბული 16, უილიამსი 11, ტორო როსო 1

კაცები
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 765 000 $

ნახევარფინალი
როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ბენჯამინ ბეკერი (14, გერმანია) 6:3 6:4; **ტიმ ჰენმანი** (10, ბრიტანეთი) — **ჯუნგ ჩანიკ ლი** (9, სამხრეთ კორეა) 6:4 7:6

ფინალი
ფედერერი — ჰენმანი 6:3 6:3

კაცები
მეკი. საფრანგეთი. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 380 000 $

ნახევარფინალი
ნოვაკ ჯოკოვიჩი (2, სერბეთი) — სებასტიან გროუანი (საფრანგეთი) 6:7 7:6 6:3; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — მარკ გიკუელი (საფრანგეთი) 7:6 6:3

ფინალი
ჯოკოვიჩი — მელცერი 4:6 6:3 6:2

ქალები
ტოკიო. იაპონია. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

ნახევარფინალი
მარიონ ბარტოლი (1, საფრანგეთი) — კამილა პინი (საფრანგეთი) 6:0 6:1; **აკიკო ნაკამურა** (იაპონია) — **იუნგ იან ჩანი** (ტაივანი) 7:6 2:6 6:4

ფინალი
ბარტოლი — ნაკამურა 2:6 6:2 6:2

ქალები
შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი (დარბაზი)
საპრიზო 650 000 $

ნახევარფინალი
ნადეჟდა პეტროვა (4, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) 6:2 1:6 6:4; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — **პატი შნიდერი** (5, შვეიცარია) 6:1 5:7 7:5

ფინალი
პეტროვა — გოლოვინი 6:3 7:6

ქალები
ტაშკენტი. უზბეკეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

ნახევარფინალი
ირინა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — **ოლგა პუტჩკოვა** (6, რუსეთი) 6:4 6:0; **ტაიან ტიან სუნი** (ჩინეთი) — **ვიკტორია აზარენკა** (ბელარუსია) 7:5 6:4

ფინალი
ტიან ტიან სუნი — ტულიაგანოვა 6:2 6:4

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

6 ოქტომბერი

კაროლინა 0:4 ნიუ ჯერსი
0:3 0:1 0:0
კოლუმბუსი 2:3 ვანკუვერი
1:0 1:0 0:2 0:1 (ოვერტაიმი)
ფლორიდა 8:3 ბოსტონი
3:1 1:1 4:1
ბუფალო 5:4 მონრეალი
0:1 1:2 3:1 0:0 (1:0 ბულიტები)
ანაჰაიმი 4:3 ლოს ანჯელესი
0:0 2:2 2:1

7 ოქტომბერი

ატლანტა 6:0 ფლორიდა
2:0 3:0 1:0
ოტავა 3:4 ბუფალო
0:2 1:0 2:2
ვაშინგტონი 5:2 კაროლინა
1:0 1:2 3:0
პიტსბურგი 0:2 დეტროიტი
0:1 0:0 0:1
ტორონტო 2:3 მონრეალი
1:1 1:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)
ტამპა 2:3 ბოსტონი
0:2 2:0 0:1
ფილადელფია 4:5 რეინჯერსი
2:1 2:2 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)
დალასი 3:1 ნიუ ჯერსი
1:0 1:1 1:0
მინესოტა 6:5 ნეშვილი
2:3 1:0 3:2
სიკაგო 4:5 კოლუმბუსი
2:2 0:3 2:0
კალგარი 2:1 ედმონტონი
1:1 1:0 0:0
ფინიქსი 1:2 ანაჰაიმი
0:2 1:0 0:0
სან ხოსე 2:0 აილენდერსი
2:0 0:0 0:0
ლოს ანჯელესი 4:1 სენტ ლუისი
0:0 2:1 2:0

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი						
		პრემიერლიგა						
		14 ოქტომბერი						
15:45	1	უიგანი-მანჩესტერი	6.50	3.60	1.50	2.31	1.21	1.05
18:00	3	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	1.90	3.40	3.60	1.21	1.24	1.74
18:00	5	ლივერპული-ბლექბერნი	1.45	3.80	7.00	1.04	1.20	2.46
18:00	6	სიტი-შეფილდი	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
18:00	7	მიდლსბრო-ევერტონი	2.35	3.20	2.85	1.35	1.28	1.50
18:00	8	არსენალი-უოტფორდი	1.15	6.00	16.00	1.00	1.07	4.36
18:00	10	ასტონ ვილა-ტოტენჰემი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
20:15	11	რედინგი-ჩელსი	8.00	4.00	1.40	2.66	1.19	1.03
		15 ოქტომბერი						
19:00	13	ნიუკასლი-ბოლტონი	2.10	3.20	3.25	1.26	1.27	1.61
23:00	14	ფულემი-ჩარლტონი	2.00	3.30	3.50	1.24	1.27	1.69
		ინგლისი						
		კონფერენსი						
		9 ოქტომბერი						
22:45	51	უოკინგი-ალდერშოტი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
		10 ოქტომბერი						
22:45	52	იორკი-კემბრიჯი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
22:45	53	ალტრინჰემი-მორიკომბი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
22:45	54	ქროული-ვეიმუთი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
22:45	55	დაგ ენდ რედი-სტ.ალბანსი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
22:45	56	ექსეტერი-ნორთვიჩი	1.55	3.20	5.50	1.04	1.20	2.02
22:45	57	ფორესტ გრინი-ბარტონი	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
22:45	58	გრეივსენდი-სტ.რეინჯერსი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
22:45	59	კიდერმინსტერი-ოქსფორდი	4.20	3.50	1.70	1.90	1.21	1.14
22:45	60	რაშდენი -ჰალიფაქსი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
22:45	61	საუთპორტი-სტივენეიჯი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		იტალია						
		სერია B						
		9 ოქტომბერი						
22:45	519	ბარი-ბოლონია	2.55	2.70	2.80	1.31	1.33	1.37
		იტალია						
		სერია C1/B						
		9 ოქტომბერი						
22:45	196	ფოჯა-აველინო	2.30	2.60	3.30	1.22	1.35	1.45
		ნორვეგია						
		I დივიზიონი						
		9 ოქტომბერი						
21:00	367	ბოდიო გლიმტი-ჰორს გრენლანდი	1.40	4.20	7.00	1.04	1.16	2.62

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი						
		სუპერეტა						
		9 ოქტომბერი						
21:00	382	ატვიდაბერგი-ასირისკა	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		12 ოქტომბერი						
21:00	383	სუნდსვალი-ვესბი	1.70	3.50	4.65	1.14	1.24	1.99
		ჰოკეი						
		რუსეთი						
		9 ოქტომბერი						
17:00	737	ტრაქტორი-ლადა	2.30	4.20	1.80	1.48	1.00	1.25
17:00	738	ასკ-ავანგარდი	2.45	4.30	1.70	1.56	1.00	1.21
17:00	739	ნოვოკუზნეცკი-ლოკომოტივი	2.30	4.20	1.80	1.48	1.00	1.25
17:00	740	სევერსტალი-ხიმიკი	2.60	4.20	1.60	1.60	1.00	1.15
17:00	741	მაგნიტოგორსკი-ს.იულაევი	1.50	4.50	2.80	1.12	1.00	1.72
14:00	744	ვიტიაზი-ამური	1.40	4.60	3.40	1.07	1.00	1.95
		ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები						
		11 ოქტომბერი						
17:00	469	ანდორა-მაკედონია	18.00	4.50	1.20	3.59	1.12	1.00
20:00	471	ბელარუსი-სლოვენია	2.65	3.10	2.45	1.42	1.27	1.36
20:00	472	ყაზახეთი-ფინეთი	5.70	3.50	1.55	2.16	1.21	1.07
21:00	473	ხორვატია-ინგლისი	2.80	3.10	2.35	1.47	1.27	1.33
21:00	475	თურქეთი-მოლდოვა	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
21:00	477	უკრაინა-შოტლანდია	1.70	3.50	4.50	1.14	1.23	1.96
21:15	478	მალტა-უნგრეთი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
22:05	480	ისლანდია-შვედეთი	5.70	3.50	1.55	2.16	1.21	1.07
22:15	481	ბოსნია-საბერძნეთი	3.10	3.10	2.20	1.54	1.28	1.28
22:15	482	ლიხტენშტაინი-დანია	18.00	7.00	1.10	5.03	1.03	1.00
22:15	484	ლუქსემბურგი-ბულგარეთი	21.00	6.50	1.10	4.96	1.04	1.00
22:15	486	სერბეთი-სომხეთი	1.12	6.00	18.00	1.00	1.05	4.50
22:30	487	ჰოლანდია-ალბანეთი	1.12	6.00	21.00	1.00	1.06	4.66
22:30	489	პოლონეთი-პორტუგალია	3.10	3.10	2.20	1.54	1.28	1.28
22:30	490	ირლანდია-ჩეხეთი	3.10	3.10	2.20	1.54	1.28	1.28
22:45	491	ბელგია-აზერბაიჯანი	1.15	5.50	20.00	1.00	1.08	4.31
22:45	493	სლოვაკეთი-გერმანია	4.20	3.20	1.80	1.81	1.25	1.15
23:00	495	საფრანგეთი-ისლანდია	1.01	10.00	50.00	1.00	1.00	8.33
23:00	497	ჩრდ.ირლანდია-ლატვია	2.20	3.10	3.00	1.28	1.26	1.52
23:00	498	უელსი-კვიპროსი	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
19:00	499	რუსეთი-ესტონეთი	1.20	4.60	17.00	1.00	1.12	3.62

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტევესი სასტუმროს აივანზე: ვეძებ ბინას ლონდონში



არგენტინელი თავდამსხმელი კარლოს ტევესი ირწმუნება, რომ მალე პრემიერლიგას მოერგება და სათანადოდ ათამაშდება. შეგახსენებთ, რომ 22 წლის ფეხბურთელი თანამემამულე ხავიერ მასკერანოსთან ერთად „ჩაქუჩებში“ ბრაზილიური „კორინთიანსიდან“ აგვისტოს ბოლოს გადავიდა.

საინტერესოა, რომ არგენტინის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ალფიო ბასილემ ცოტა ხნის წინ ტევესსა და მასკერანოს შეუთვალა, მანდ ვერ გაიზრდებით და სანამ დროა, გაიქეცითო. პრესაც მყისვე ალაპარაკდა, ორივე ფეხბურთელი „აპტონ პარკს“ იანვარშივე დატოვებსო. მაგალითად, მასკერანოთი სერიოზულადაა დაინტერესებული ტურინის „იუვენტუსი“.

„ევროპაში რამდენიმე მიზეზის გამო გადმოვედი. ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ მინდა, დავამტკიცო, თამაში აქაც კარგად შემიძლია. რისი მაქნისიც ვარ, სამხრეთ ამერიკაში უკვე ვაჩვენე. მჯერა, ყველაფერი მშვენივრად იქნება. უბრალოდ, ცოტა დრო მჭირდება. მით უმეტეს, იოლად დანებება ხასიათში არ მაქვს და ძალიან მწყინს, როცა სხვადსხვაგვარ ჭორებს ვკითხულობ, თითქოს წასვლა მინდოდეს. ეს აბსურდია. მე და ხავიერი ძალიან შემართულები ვართ. თანაგუნდელები და ქომაგებიც მხარს გვიჭერენ. „ვესტ ჰემის“ ამბიციურობის რომ არ გვჯეროდეს, აქ არც გადმოვიდოდით“ — თქვა ტევესმა.

ტევესმა „ჩაქუჩების“ მაისურით 6 მატჩი ჩაატარა, მაგრამ გოლი ჯერაც არ გაუტანია. ბრიტანულ ჟურნალ-გაზეთებში იმასაც წაიკითხავთ, არგენტინელს ინგლისი არ მოსწონს და აქ ცხოვრება გაუჭირდებაო.

„ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მიდის. იმედია, ნავსს მალე გავტეხავთ და მოვიგებთ. ყველა მატჩში ბოლომდე ვიხარჯებით და კარგად ვთამაშობთ, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. არც მე და არც ხავიერი აქ მხსნელების რანგში არ გადმოვსულვართ. ეს ფეხბურთია და არა ჩოგბურთი. უბრალოდ, ჩვენ გვინდა, შესაძლებლობები გამოვავლინოთ, რაც გუნდს დაეხმარება და მთავარი სწორედ საერთო საქმეა. რაც შეეხება ჭორებს, რომ მე აქაურობა არ მომწონს და სასტუმროში ამიტომ ვცხოვრობ, სისულელეა. მითქმა-მოთქმას ნუ დაუგდებთ ყურს. უბრალოდ, ჯერ სათანადო სახლს ვეძებ“ — დასძინა ტევესმა.

გიორგი ქაქაბაძე

სლომკა სკამს ჩააფრინდა

მიუხედავად გერმანულ პრესაში ატეხილი მითქმა-მოთქმისა, „შალკეს“ მწვრთნელმა მირკო სლომკამ განაცხადა, რომ არსად წასვლას არ აპირებს. გელზენკირხენელებმა სეზონი ცუდად დაიწყეს, უეფას თასიდან გამოვარდნენ და არც ბუნდესლიგაში მისდით საქმე ხუთიანზე. შესაბამისად, 39 წლის სპეციალისტის მოხსნაზე ალაპარაკდნენ, რამაც სლომკა გააბრაზა.

„ამ პოსტისთვის ვიბრძოლებ. იმას, რაც გუნდს ამ პერიოდში შევალიე, ასე მარტივად არ დავთმობ, არ დავნებდები. არავის არ მივცემ იმის უფლებას, რომ რასაც აქამდე მივაღწიე, ერთი ხელის მოსმით დაანგრიოს“ — აღნიშნა სლომკამ.

სლომკას სავარაუდო შემცვლელად კრისტოფ დაუმს ასახელებენ. მოგეხსენებათ, „ლევერკუზენის“ ყოფილი მწვრთნელი ბუნდესლიგას და გერმანიას დიდი ხანია, მოშორდა. მას მერე, რაც ნარკოტიკების ხმარებაში ამხილეს, დაუმი თურქეთში წავიდა. ბოლოს იგი „ფენერბაჩეს“ წვრთნიდა.

მირკო სლომკა: „ჭორები დაუმზე, სასაცილოდ მეჩვენება. ჩვეულებრივად, ასეთ ვითარებაში ჟურნალისტები უამრავი მწვრთნელის გვარს ასახელებენ და არ იციან, რა მოიგონონ. ბოლოს „შალკეზე“ რომ მიდგება ხოლმე საქმე, კანდიდატი მხოლოდ დაუმია. იგი ბრწყინვალე მწვრთნელია და როგორც პიროვნება, მომწონს, მაგრამ „შალკეს“ მწვრთნელი მე ვარ. როდესაც ეს პოსტი ჩავიბარე, ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი და სანამ საქმეს ბოლომდე არ მივიყვან, არ წავალ“.

კოკი კანდელაკი

მაურინიუ დიდი ქვეშქვეშაა

თვალში ნაცარი, ფეხებში ქვიშა

ჟოზე მაურინიუ

ანდრეს ინიესტა

„სტემფორდ ბრიჯზე“ ტონობით ქვიშის შეტანის ამბავმა უმალ დაბადა ჭორი, რომ „ჩელსი“ კვლავაც „ბარსელონასთან“ თამაშის წინ ლამობს მოედნის წახდენას.

მოგეხსენებათ, შარშან მსგავსი „მინდვრის რემონტი“ დიდი სკანდალით დასრულდა. ყველამ დაიჯერა, რომ ჟოზე მაურინიუმ განგებ გაუფუჭა მინდორი ტექნიკურ კატალონიელებს. ახლაც ყველა იგივეს იმეორებს, ყველაფერი 18 ოქტომბრისთვის მზადდებაო.

ბარსელმა ანდრეს ინიესტამ კი თქვა: „კარგად ვიცით, ვინც არის მაურინიუ. თუ შარშანდელივით აეწყო საქმე, რამდენიც, უნდა, იმდენი ქვიშა დაყაროს“.

თუმცა მისი თანაგუნდელი ხავი კი შიშობს: „ეს ძალიან ცუდია. მათ ხისტი ფეხბურთი უყვართ, ჩვენ კი პასით ვთამაშობთ. შარშან იქ კი მოვიგეთ, ქვიშისავე მინდორზე, მაგრამ იქ ბურთის გორება იოლი არ იყო. ჩვენ იატაკზეც გამოგვივა ჩვენი თამაში, თუმცა კი ძნელი იქნება“.

„ბარსელონას“ ძველი მეკარე ანდონი სუბისარეტა კი შეწუხებულია: „არ ვიცი, რა ვთქვა. მათი მოედანი არ მინახავს, მაგრამ დიდი თამაში დიდებულ მინდორზე უნდა გაიმართოს“.

ლონდონში ბარსელონელთა ფანკლუბის მეთაური ანა რევილა კი მაურინიუს აკრიტიკებს და იმას იმეორებს, რაც ხავიმ თქვა.

თუმცა „ჩელსის“ პრესმდივანი ყოველივეს უარყოფს: „ჩვენ 18 დღის განმავლობაში არ გვაქვს საშინაო თამაში. ამიტომაც მინდვრის მოვლას ვასწრებთ. ჩვენი მინდორი ერთ-ერთი საუკეთესოა ინგლისში და მას ეს სამუშაოები სჭირდება“.

ირაკლი გამყრელიძე

მილანი ამელიას მელასავით ეპარება

„მილანი“, როგორც უმაღლესი დონის პროფესიული კლუბი, მომავალ სეზონსაც აქედან გეგმავს და ამ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ჩანს, მეკარის თემას უპყრია.

ამწუთას „როსონერის“ ნომერ პირველი გოლკიპერი, მოგეხსენებათ ბრაზილიელი დიდაა, ოღონდ მას ზაფხულზე კონტრაქტის ვადა ამოეწურება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ადგილი ვინმემ უნდა დაიკავოს. კერძოდ ვის უმიზნებენ მილანელები? ამჟამად ორ კაცზეა ლაპარაკი, ჯანლუიჯი ბუფონსა და მარკო ამელიაზე.

მარკო ამელია

გეხსომებათ, იტალიის ნაკრებისა და სერია B-ში გაძევებული ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე ბუფონი „მილანს“ გასულ ზაფხულსაც უნდოდა თავისთვის, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა „ბებერი ქალბატონის“ ერთგულება ამჯობინა. ამ ერთგულების მიუხედავად შავ-წითლებმა მსოფლიოს, როგორც ამბობენ, საუკეთესო გოლკიპერი მაინც სამიზნეზე დაიტოვეს.

რაც შეეხება ამელიას, ის „ლივორნოს“ ძელებს შორის დგას და მხოლოდ 24 წლის არის. მილანელები ბოლო რამდენიმე თვეა განსაკუთრებით აქტიურობენ მის შესაძენად და ისეთი ხმაც კი გავრცელდა, რომ მისი ამბავი შეიძლება იანვარშივე მოამთავრონ.

პაპუნა კედია

ჰკრა მაგას!

უკიდურესი ჩრდილოეთი სევილიური ტრიბუნა

ჰირველი მერცხლები

დაჯგუფების სახელი: **BIRIS BIRIS NORTE** („უკიდურესი ჩრდილოეთი ტრიბუნა"). კლუბი: „სევილია". რაოდენობა: დაახლოებით 250-350 ინჩასი. იდეოლოგია: უკიდურესად მემარცხენე. მეგობრები: არ ჰყავთ. მტრები — **SUPPORTERS SUR** („ბეტისის" დაჯგუფება).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესპანეთში ფანატთა დაჯგუფებები 1982 წელს წარმოიშვა. თუმცა მუნდიალამდე ჯერ კიდევ 8 წლით ადრე სევილიაში ულტრამემარცხენე **BIRIS BIRIS NORTE**-ს მოძრაობა არსებობდა, რაც შემდგომში ქვეყანაში პირველ ოფიციალურ დაჯგუფებად გადაიქცა. ამ ჯგუფს ახლა შემოკლებით მარტო **BIRIS**-ს ეძახიან. სევილიელი ინჩასები ტრიბუნებზე თეთრ მაისურებში ვამოწყობილნი მოდიან და გულზე წითელი **B** აშშვენებთ. რატომ გადაწყვიტეს სევილიელმა გულშემატკივრებმა საკუთარი დაჯგუფების შექმნა? „სევილია" (კანტაბრიული „რასინგივით") ებრაული კლუბი გახლავთ. საომარი ბრიგადის წევრებიც უმეტესწილად ებრაელი ინჩასები არიან. კომუნისტმა ფანებმა ანტისემიტურად განწყობილი ფაშისტები ჯერ საკუთარ „რამონ სანჩეს პისხუანზე" ჩაიჩუმეს, ხოლო შემდეგ სრულიად ესპანეთში კლუბთან ერთად მოგზაურობა დაიწყეს და ებრაელთმოძულეებს სხვა სტადიონებზეც სასტიკად უსწორდებოდნენ... თუმცა მათი ჯირითი დიდხანს არ გაგრძელებულა. არასევილიელები „აგრესიულ ურიებს" ჯერ გაოცებით უცქერდნენ, დროთა განმავლობაში კი გაკვირვება გაბრაზებამ შეცვალა. 1984 წელს ბასკეთში ჩასულ „ბირისს" „სან მამესის" ინჩადამ „პოგრომი" მოუწყო. „ძირს ებრაელები!" — ღრიალებდა მთელი სტადიონი, ხოლო შემდეგ სიტყვას საქმეც მოაყოლეს და კომუნისტთა ლაშქარი სასტიკად გაიალახა. საინტერესოა, რომ ებრაელთა გვემაში ბილბაოს პოლიციაც სიამოვნებით მონაწილეობდა... „სან მამესის" მარწუხებს თავსდაღწეულმა სევილიელებმა ბასკეთიდან რაც შეიძლება მალე გასაქცევად ბილბაოს ვაგზალს მიაშურეს, თუმცა იქ მაშინ ახალჩამოყალიბებული **ABERTZALE SUR**-ის მოიერიშეები წამოეწივნენ და პოლიციის გულგრილი მეთვალყურეობის ქვეშ ისედაც დამარცხებული გადამთიელები სულ შავ დღეში ჩაყარეს...

მომდევნო წელს „ბირისი" უკვე „ბარსელონას" და მადრიდის „ატლეტიკოს" ინჩასობამ ჩაწიხლა. მას შემდეგ სევილიელები გასვლით მატჩებზე კლუბს აღარ დაჰყვებოდნენ. ოთხმოცდაერთ წლებში, ესპანეთში უფრო აგრესიული დაჯგუფებების ჩამოყალიბების მერე, კომუნისტ ებრაელთა ბრიგადამ ძველი ძლიერება დაკარგა. „ბირისს" „სევილიას" მოსისხლე მტრის, „ბეტისის" ფაშისტური ფლაგმანი **SUPPORTERS**-ი სასტიკად გაუსწროდა, ხოლო ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში „ჩრდილოეთის ტრიბუნა" ჯერ „ბარსელონას", ხოლო შემდეგ „ატლეტიკოს" ფანებმა ყოვლად სამარცხვინოდ, ზედ შინაური „სანჩეს პისხუნის" კარიბჭესთან სცემეს... დღეს ესპანეთში ოდესღაც სისხლიანი დაჯგუფება წყალწაღებულთა ხროვად ითვლება.

დაჯგუფების სახელი: **SUPPORTERS SUR** („სამხრეთელი ინჩასები"). კლუბი: „ბეტისი". რაოდენობა: 300 ინჩასი. იდეოლოგია: უკიდურესად მემარჯვენე. მეგობრები: **ULTRA-VIOLETAS** („ვალიადოლიდის" დაჯგუფება). მტრები: **BIRIS BIRIS NORTE** („სევილიას" დაჯგუფება).

სადაც „სევილია" ვახსენეთ, არც მისი დაუძინებელი თანაქალაქელი მტერი „ბეტისი" უნდა დავივიწყოთ. **SUPPORTERS SUR**-ი **BIRIS**-ის შექმნიდან ორ წელიწადში ჩამოყალიბდა, რათა კუნთმაგარ „მწვანეებს" „სევილიას" რადიკალურად განწყობილი ფანთათვის შესაფერისი პასუხი გაეცათ. მტრებს შორის პირველი დიდი ბრძოლა 1985 წელს მოხდა და „სამხრეთელებმა" „ჩრდილოელები" იოლად დაჯაბნეს. ბეტისელები სევილიელებს დღესაც ხშირად სცემენ. **SUPPORTERS SUR**-ში ძირითადად ქალაქ სევილიის სამხრეთ უბნებში მცხოვრობი ანდალუზიელი პროლეტარები არიან გაერთიანებულნი. „ბეტისის" ინჩასთა აგრესიული ფრთა კლუბის საშინაო მატჩების დროსაც „რუის დე ლოპერას" სტადიონის სამხრეთ ტრიბუნაზე ბანაკდება. მეგობრობით მარტო „ვალიადოლიდის" მებრძოლებთან მეგობრობენ. მადრიდის „რეალის" ფანებთანაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ, თუმცა არა ფაშისტურ **ULTRAS SUR**-თან, არამედ ნეიტრალურ **ORGULLO VIKINGO**-სთან. ფაშისტები ბეტისელთა დაჯგუფებაშიც საკმაოდ არიან, თუმც საკუთარი კლუბის შავკანიან მოთამაშეებს მაინც პატივს სცემენ. „რუის დე ლოპერას" ზანგებს „აყროლებულ ნიგერებად" იქ არავინ მოიხსენიებს. **SUPPORTERS**-ის საფირმო ნიშანი სტადიონზე აუტანელი ხმაურია. „ბეტისის" არენაზე გულშემატკივრებიდან ხმაშეწყობილ სიმღერებს ვერ მოისმენთ, აქ ყველა ცალ-ცალკე სხვადასხვა რაღაცას ღრიალებს და ჯოჯოხეთური ხმაურითაც მარტო მადრიდის „ატლეტიკოს" ფანებს თუ ჩამორჩებიან. ჰო, ბეტისელები და საერთოდ არც ერთი სხვა ესპანური დაჯგუფების წევრები ჩხუბში დამარცხებულ მტერს ინგლისელებივით საკლუბო შარფებს არ ართმევენ. წაქცეული მეტოქისთვის „სკალპის აჭრა" გვარიანი საქმეა, მაგრამ აბა, რა ჯანდაბად უნდა მგალითად „ბარსას" ქომაგს „რეალის" შარფი? ასევე **SUPPORTERS SUR**-იც ფერდებჩალეწილ **BIRIS**-ს საკლუბო მოკაზმულობას ადგილზე უტოვებს.

ლადო ხომერიკი

გაგრძელება იქნება

სავიოლამ ხალხის აზრი ჩაწიხლა

არგენტინელი ვარსკვლავი ხავიერ სავიოლა აღიარებს, რომ ენთუზიაზმით ელოდება „ბარსელონაში" ახალი ვადით დარჩენის შესაძლებლობას.

გიკვირთ? „რივერ პლეიტის" ოდინდელი მოთამაშე ხომ ფრანკ რიკარდის გუნდში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ვერა და ვერ გახდა და შესაბამისად, რატომ უნდა უნდოდეს „კატალონიის სიამაყეში" დარჩენა? საქმე ის გახლავთ, რომ „ბარსას" კამერუნელი თავდამსხმელი სამუელ ეტოო სერიოზულად დაშავდა, სავარაუდოდ ხუთი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს, რაც არგენტინელის შანსი გახლავთ.

ეტოო ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, მადრიდის „ატლეტიკოსთან" 3:1 გამარჯვების დღეს დაშავდა ასე საშინლად.

„არ მაღელვებს ის ხალხი, ვისაც ჰგონია, რომ „ბარსელონაში" დარჩენა მაღალი ხელფასის გამო მინდა — თქვა სავიოლამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას — ამ კლუბში პირადი გამოწვევა მაქვს და ჩემთვის ეს არის მთავარი და არა ხალხის აზრი. ფეხბურთს იმიტომ არ ვთამაშობ ეს ხალხი რომ გავახარო, ჩემი ანგარიში გამაჩნია. ერთი სიტყვით, თუ „ბარსელონასთან" ხელშეკრულების გახანგრძლივების საშუალება მომეცემა, სიამოვნებით ვისარგებლებ. ახალი სეზონი დიდი ხნის დაწყებული არ არის და ვნახავთ რა მოხდება".

პაპუნა კედია

კამჯიასომ მანჩინი თავდაყირა დააყენა

არგენტინელი ნახევარმცველის, ესტებან კამბიასოს მინდორზე დაბრუნება სულ ცოტა, სამი კვირით გადაიდო. შეგახსენებთ, რომ „ინტერის" ფეხბურთელი სერია **A**-ს პირველ ტურში „ფიორენტინასთან" შეხვედრაში დაშავდა. გასულ ხუთშაბათს მან ბერგამოს „ატალანტასთან" 2:3 წაგებულ ამხანაგურ მატჩში ითამაშა, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა და ექიმების თქმით 20-25 დღე ვერ ითამაშებს.

კამბიასოს სერია **A**-ში „კატანიასთან", „უდინეზესთან", „ლიეორნოსთან" მატჩების გამოტოვება მოუწევს და, ალბათ, 28 ოქტომბერს „მილანთან" დერბიში დაეხმარება თავის გუნდს. არგენტინელს ვერც ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის „სპარტაკთან" ჯახის დროს ვიხილავთ მოედანზე.

„ინტერს" ეს საკმაოდ სერიოზულ პრობლემას შეუქმნის, რადგან მილანელთა მეორე, ძირითად ცენტრალურ ნახევარმცველს პატრიკ ვიეირას სერია **A**-ში სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. მათი შემცვლელი მხოლოდ ოლივეე დაკურია და რობერტო მანჩინი, ალბათ, ტაქტიკას გადააწყობს. დაკურს დეიან სტანკოვიჩს შეუწყვილებს, ფლანგებზე კი ლუიმ ფიგუსა და სანტიაგო სოლარის გაამწესებს.

კოკი კანდელაკი

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. III ტური

A ჯგუფი

მარტო სახლში

ჟიგიჩმა ბელგიას სამჭულიანი ჩაუგდო

ყაზახეთი 0:1 პოლონეთი

0:1 შმოლარეკი (52)

ყაზახეთი: ლორია, კუჩმა, სმაკოვი, უტაბაიევი (აშირბეკოვი 68), ჟალმაგამბეტოვი, აზოვსკი, ბიაკოვი, კარპოვიჩი (ტრავინი 59), კლიშინი, სერგიენკო (ლარინი 81), ჟუმასკალიევი

პოლონეთი: კოვალევსკი, ბაკი, ბრონოვიკი, გოლასსკი, ლევანდოვსკი (კაზმიერჩაკი 30), ბლაშჩიკოვსკი (გრზელაკი 87), რადომსკი, შმოლარეკი, სობოლევსკი, რასიაკი, ჟურავსკი (მატუსიაკი 71)

გაფრთხილება: უტაბაიევი, ბიაკოვი, აშირბეკოვი

მსაჯი: ედო ტრივკოვიჩი (ხორვატია)

18 000 მაყურებელი

სომხეთი 0:0 ფინეთი

სომხეთი: კასპაროვი, არზუმანიანი, კ. დოხოიანი, ჰოვსეპიანი, ალექსანიანი (არა ჰაკობიანი 54), მელიქიანი, ა. ტიგრანიანი, ა. ქარამიანი (მკრტჩიანი 46), მანუჩარიანი (ართავაზ ჰაკობიანი 78), ს. მელქონიანი, შაჰგელდიანი

ფინეთი: იასკელაინენი, ჰეიკინენი, ჰიიპია, პასანენი, ტიჰინენი, კოლკა, ლიტმანენი, იოჰანსონი (რიიჰილაჰტი 83), კალიო, კუქი (ფორსელი 66), ვაირინენი (ნურმელა 73)

გაფრთხილება: ჰიიპია, ალექსანიანი, პასანენი, არზუმანიანი, არა ჰაკობიანი, მელქონიანი

მსაჯი: დამირ სკომინა (სლოვენია)

7 500 მაყურებელი

სერბეთი 1:0 ბელგია

1:0 ჟიგიჩი (54)

სერბეთი: სტოიკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, მარკოვიჩი, ნ. ვიდიჩი, კრსტაიჩი, კორომანი (ერგიჩი 71), ნ. კოვაჩევიკი, სტანკოვიჩი, ტრისოვიჩი (ლაზოვიჩი 58), პანტელიჩი (დულიაი 90), ჟიგიჩი

ბელგია: სტიინენი, ჰოფკენსი, ვან ბუიტენი, კომპანი, სიმონსი, ვერმაელენი, ჟერარტსი, მუდინგაი (პიერონი 75), გოორი (ვანდენბერგი 84), დემბელე (მ. მპენზა 62), ე. მპენზა

გაფრთხილება: კორომანი, მარკოვიჩი, სიმონსი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

35 000 მაყურებელი

პორტუგალია 3:0 აზერბაიჯანი

1:0 რონალდუ (25), 2:0 კარვალიუ (31), 3:0 რონალდუ (63)

პორტუგალია: რიკარდუ, მიგელი, რ. კარვალიუ, რიკარდუ როჩა, ნუნუ ვალენტე (მ. კანეირა 46), დეკუ, კოშტინია, მანიშე (ბ. მენდეში 64), სიმაო, კ. რონალდუ (ნანი 73), ნუნუ გომეში

აზერბაიჯანი: ველიევი, ჰაშიმოვი, ქერიმოვი, პერეირა, სოკოლოვი, ჩერთოგანოვი, იმამალიევი, ლადაგა, მუზიკა (ი. გურბანოვი 66), სულთანოვი (ისმაილოვი 64), გომეში (ჯავადოვი 76)

გაფრთხილება: სულთანოვი, ნუნუ ვალენტე, სოკოლოვი, პერეირა, რიკარდუ როჩა

მსაჯი: მარკ ჰალსი (ინგლისი)

20 000 მაყურებელი

ასსა! — ცეკვავს ნიკოლა ჟიგიჩი

ეს გახლდათ სერბთა პირველი საშინაო მატჩი ჩერნიგორიასთან დაცილების შემდეგ.

შეხვედრის წინ ორივე ნაკრებს ოთხი ქულა ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამარჯვება ერთსაც და მეორესაც ლიდერად აქცევდა. ახლა უკვე ვიცით, რომ ასეთი გუნდი სერბეთი გამოდგა, რომელმაც ამ ლიდერობას აყლაყუდა ნიკოლა ჟიგიჩის გოლით მიაღწია.

სერბებმა ბელგიელებს სასტარტო სასტვენის ხმის გაგონებისთანავე შეუტიეს, რის გამოც ბუნდესლიგის ორომტრიალში გამოცდილი სტუმარი მცველები დანიელ ვან ბუიტენი და ვენსან კომპანი გვარიანად გაწვალდნენ. მოწინააღმდეგის კარისკენ პირველმა სახიფათოდ ალეკსანდრ ტრისოვიჩმა დაარტყა, რაზეც ბელგიელებმა მბო მპენზას გასროლილით უპასუხეს — მპენზა ბელგიელთა ეროვნული გუნდის შემადგენლობაში ერთწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდა.

შემდეგ, ბელგიელთა მეკარემ სტეინ სტიინენმა გამოიჩინა თავი — დეიან სტანკოვიჩის საჯარიმო დარტყმა მოიგერია, რასაც ისევ ზემოხსენებულ ტრისოვიჩის ორი შესაძლებლობა მოჰყვა. პირველი ტაიმის ბოლო საგოლე მომენტი ვან ბუიტენისა გახლდათ, მან ხუთი მეტრიდან ვერ შეაგდო ბურთი შვიდმეტრიან კარში, რის მერეც ფორტუნამ ბელგიელებს სასჯელად ჟიგიჩის გოლი გაუგზავნა. ჟიგიჩს ასისტენტობა მატჩისა და ჩვენი მოკლე მიმოხილვის ვმირმა ტრისოვიჩმა გაუწია.

ამის მერე ინიციატივა სტუმრებმა იგდეს ხელთ. ფლანგიდან ბურთი ჩინებულად ჩააწოდა მუსა დემბელემ, მაგრამ კარლ ჰოფკენსის დარტყმული ძელმა მიიღო. ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობები გაუშვეს ბარტ გორმა და ზემოხსენებულმა მპენზამ, მოედნის გადაღმა კი ხარიხას ნემანია ვიდიჩმა აძგერა. მსაჯის დამატებულ დროში შეცვლაზე შესულმა კევინ ვანდენბერგმა ერთხელაც შეაზანზარა ძელი. ახლა, ოთხშაბათს სერბები სომხებს ხვდებიან, ბელგიელები — აზერბაიჯანელებს.

პაპუნა კედია

სერბეთი	3	2	1	0	3:1	7
ფინეთი	3	1	2	0	4:2	5
პორტუგალია	2	1	1	0	4:1	4
ბელგია	3	1	1	1	1:1	4
პოლონეთი	3	1	1	1	3:4	4
ყაზახეთი	3	0	2	1	1:2	2
სომხეთი	2	0	1	1	0:1	1
აზერბაიჯანი	3	0	1	2	1:5	1

C ჯგუფი

კაცურანისის კაცური

რეჰაგელმა სტიქიას და ნორვეგიას მოუგო

მოლდოვა 2:2 ბოსნია

1:0, 2:0 როგაჩოვი (13, 32პ), 2:1 მისიმოვიჩი (62), 2:2 გრლიჩი (68)

მოლდოვა: პაშენკო, კატინსუსი, ა. ეპურეანუ, გაცკანი (კლეშჩენკო 90), ლაშენკოვი, ოლექსიკი, ტესტიმიცანუ, ს. ეპურიანუ (კორნენჩოვი 72), ს. ივანოვი, რებეუა, როგაჩოვი (დადუ 71)

ბოსნია: ჰასაგიჩი, პაპაჩი, ტრივუნოვიჩი, ვ. ვიდიჩი, ბაირამოვიჩი (გრუიჩი 77), ბარბარესი, ჰრგოვიჩი (სმაჯიჩი 86), შილიჩი, ბარტოლოვიჩი, დამიანოვიჩი (გრლიჩი 46)

გაფრთხილება: ვიდიჩი, ბარბარესი, რებეუა, კატინსუსი, დადუ

მსაჯი: ერვე პისირილო (საფრანგეთი)

11 000 მაყურებელი

უნგრეთი 0:1 თურქეთი

0:1 თუნჯაი (41)

უნგრეთი: კირალი, ეგერი, ფეჰერი, იუჰაში, ვანჩაკი, დარდაი, ჰალმოში (კაბატი 46; კომლოსი 76), ჰუშტი, ტოტი, გერა, ტორშელე (საბიჩი 83)

თურქეთი: რუშთუ, ჰამიტ ალტინტოპი, სერვეთი, გოხანი, მ. აურელიო, გიოქდენიზი (ჰუსეინი 63), საბრი, თურანი (მეჰმეთი 90), იბრაჰიმი, თუნჯაი (არატი 90), ჰაქან შუქური

გაფრთხილება: აურელიო, ჰალმოში, დარდაი

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

9 500 მაყურებელი

საბერძნეთი 1:0 ნორვეგია

1:0 კაცურანისი (33)

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, ანატოლაკისი, კირიაკოსი, ფისასი, ბასინასი, იანკოპულოსი (ხარისტიასი 46), კარაგუნისი (პაცაოლუ 90), კაცურანისი, ლიბეროპულოსი (ამანატიდისი 71), სამარასი

ნორვეგია: მირე, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდრესენი, ჰესტადი, პედერსენი, რამბეკი (აარსტი 86), რიისე, სტიიმსტადი (ბრაატენი 61), ივერსენი, სოლსკიაერი

გაფრთხილება: სამარასი, პედერსენი, ჰესტადი, ანატოლაკისი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

25 000 მაყურებელი

ფისასი სამარასისა და ივერსენის ჰიდაობას უყურებს

ევროპის ჩემპიონებმა დიდი ბრძოლითა და ოფლის ღვრით მიაღწიეს საწადელს, ნორვეგიის ეროვნული გუნდი დაამარცხეს და შესარჩევ ციკლში მორიგი სამი ქულა მიითვალეს. ოტო რეჰაგელის შეგირდებს გამარჯვება კონსტანტინოს კაცურანისის ერთადერთმა გოლმა მოუტანა.,

საინტერესოა, რომ შეხვედრა „გეორგიოს კარაისკაკისზე" დანიშნულზე თითქმის ერთი საათით, უფრო ზუსტად კი 50 წუთით გვიან დაიწყო. მიზეზი თავსხმა გახლდათ, რომელმაც მოედანი დატბორა. ბერძენი სტიუარდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სტიქიას მაინც გამოგლიჯეს მატჩი ხელიდან, ცნობილ სლოვაკ მსაჯს, ლუბოშ მიხელს ჩასტვენის საშუალება მაინც მიეცა.

პირველი თამაში ბერძნებმა სტუმრად, მოლდოვაში მოიგეს, ნორვეგიელებს კი ამ დროისთვის უკვე ექვსი ქულა ჰქონდათ. ალბათ, ამ უპირატესობის მალე გაბათილების მიზნით შეუტიეს მასპინძლებმა პირველივე წუთიდან. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამ საქმეში ბერძნებს ევრო 2004-ის საუკეთესო ფეხბურთელი თეოდორას ზაგორაკისი ვერ ეხმარებოდათ.

პირველი დასამახსოვრებელი მომენტი იურკას სეიტარიდისის დარტყმა გახლდათ, ბურთი ოდნავ აცდა მიზანს. შემდეგ იყო და საკმაოდ კარგი შესაძლებლობა, რომელიც ნიკოს ლიბეროპულოსმა ვერ გამოიყენა. მასპინძლების ამ ინიციატივას სტუმრებმა მე-12 წუთზე ფრედერიკ სტიიმსტადის დარტყმით გასცეს პასუხი, მაგრამ ამ ეპიზოდში მეკარე ანტონიოს ნიკოპოლიდისმა გამოიჩინა თავი. აქვე დავძინოთ, რომ ნორვეგიელების დაწინაურება ორჯერ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ცნობილ თავდამსხმელს ოლე გუნარ სოლსკიაერსაც შეეძლო. პირველად თავად სოლსკიაერეს არ ეყო სიფხიზლე, მერე კი მეკარე ნიკოპოლიდისმა გამოიჩინა თავი. და, როგორც ხშირად ხდება, ხელსაყრელი მომენტების ხელიდან გაშვების გამო გუნდი, რომელმაც ეს მომენტები შექმნა, დაისაჯა — გეორგიოს კარაგუნისის ჩაწოდების შემდეგ ლიბეროპულოსმა კაცურანისს კარგად დაუგდო და მანაც კაცურად და ლამაზად დასცხო ბურთს ფეხი.

აღსანიშნავია, რომ დაწინაურების შემდეგ რეჰაგელს უპირატესობის შენარჩუნება არც უფიქრია. ამის დასტურია ის ცვლილება, რომელიც ბერძნების გერმანელმა მწვრთნელმა შესვენებისას განახორციელა — სტელიოს იანიკოპულოსის მაგივრად მოედანზე ანგელოს ხარისტეასი შევიდა, თუმცა ზემოთ ორჯერ ნახსენებ სოლსკიაერს მეორე ტაიმის დასაწყისში მაინც რომ გამოეყენებინა ხელსაყრელი მდგომარეობა, რეჰაგელის ტაქტიკური წიაღსვლების მიუხედავდა, ანგარიში თანაბარი იქნებოდა.

ბოლოს, იანის ამანატიდისმა გაარტყა ძელს ბურთი.

პაპუნა კედია

ნორვეგია	3	2	0	1	6:2	6
თურქეთი	2	2	0	0	3:0	6
საბერძნეთი	2	2	0	0	2:0	6
ბოსნია	3	1	1	1	8:7	4
უნგრეთი	3	1	0	2	4:6	3
მოლდოვა	3	0	1	2	2:5	1
მალტა	2	0	0	2	2:7	0

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. III ტური

D ჯგუფი

იუბილარს ხუთი გოლი აჭამეს

უელსი 1:5 სლოვაკეთი

0:1 სვენტო (14), 0:2 მინტალი (32), 1:2 ბეილი (37), 1:3 მინტალი (38), 1:4 კარჰანი (51), 1:5 ვიტეკი (59)

უელსი: პ. ჯონსი, ბეილი, რ. დაფი, ედვარდსი (ლედლი 58), გაბიდონი, ნიატანგა, ს. დეივისი (კოტერილი 88), კუმასი, კ. რობინსონი, ბელამი, ერნშოუ (ჰერი 46)

სლოვაკეთი: ჩონტოფალსკი, დიურიცა, კოზაკი, კრატოხვილი, მ. პეტრაში, სვენტო, ვარგა, კარჰანი (კრაიჩიკი 67), მინტალი (ჰოდური 71), პ. პეტრაში, ვიტეკი (ჰოლოშკო 77)

გაფრთხილება: კუმასი, დეივისი

მსაჯი: დიკ ვან ეგმონდი (ჰოლანდია)

28 493 მაყურებელი

ჩეხეთი 7:0 სან მარინო

1:0 კულიჩი (15), 2:0 პოლაკი (22), 3:0 ბაროში (28), 4:0 კოლერი (43), 5:0 იაროლიმი (49), 6:0 კოლერი (52), 7:0 ბაროში (68)

ჩეხეთი: ჩეხი, გრიგერა, უიფალუში, როზენალი (ზაპოტოჩნი 46), იანკულოვსკი, იაროლიმი, პოლაკი, როსიცკი (პლასილი 63), ბაროში, კოლერი, კულიჩი (ლაფატა 46)

სან მარინო: ფ. ვალენტინი, ალბანი, ანდრეინი (მარიოტი 82), ბაჩოკი, დელა ვალე, დომენიკონი, მაზი (კრეშენტინი 69), მ. მორეტი (მარანი 54), კ. ვალენტინი, ვანუჩი, სელვა

მსაჯი: ვუსავ ალიევი (აზერბაიჯანი)

9 514 მაყურებელი

კვიპროსი 5:2 ირლანდია

0:1 აირლენდი (8), 1:1 კონსტანტინუ (10), 2:1 გარპოციისი (16), 2:2 დანი (44), 3:2 კონსტანტინუ (50პ), 4:2, 5:2 ხარალამბიდისი (60, 75)

კვიპროსი: მორფისი, ლამბრუ, ლუკა, საციასი, თეოდოტუ, გარპოციისი (ხარალამბუსი 77), მაკრიდესი, მიხაელი (ხარალამბიდისი 46), ალონეფტისი, კონსტანტინუ, ოკასი (გიასემი 86)

ირლანდია: კენი, ფინანი, დანი, ე. ობრაიენი (ლი 71), ოში, დ. დაფი, აირლენდი (დუგლასი 83), კილბეინი, მაკგიდი (ა. ობრაიენი 80), კინი, მორისონი

გაფრთხილება: მორფისი, გარპოციისი, დანი, კონსტანტინუ, საციასი, კინი, ალონეფტისი, ოში

გაძევება: დანი (78)

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატიშტა (პორტუგალია)

12 000 მაყურებელი

უელსში სლოვაკეთის ნაკრების ჩასვლა ადგილობრივთა გოლკიპერ პოლ ჯონსისთვის და საერთოდ ყველა პატიოსანი უელსელისთვის ფრიად სავალალოდ დამთავრდა. ბედკრული ჯონსი ნაკრებში 50-ე საიუბილეო მატჩს ზეიმობდა და გამხეცებული სლავებისგან „საჩუქრად“ 5 გოლი მიიღო.

ევრო 2008-ის შესარჩევების სასტარტო მატჩი უელსმა ჩეხეთთან მინიმალური ანგარიშით წააგო, ხოლო სლოვაკებმა კვიპროსი 6:1 გაანადგურეს. კარდიფის თამაში კი უელსელთა შეტევებით დაიწყო, თუმცა სტუმრებმა ანგარიში უკვე მე-14 წუთზე გახსნეს, თავი დუშან სვენტომ გამოიჩინა. კარდიფში მასპინძლებს ტრავმის გამო ნაკრების ლიდერი რაიან გიგზი ვერ დაეხმარა.

რობერტ ერნშოუმ და საიმონ დეივისმა ანგარიშის გათანაბრების ხელსაყრელი შანსები გაანიავეს. შემდეგ კი იუბილარმა ჯონსმა ბავშვური შეცდომა დაუშვა და მეორე გოლიც მიიღო. მეკარემ თავისი საჯარიმოდან გამოირბინა, თითქოს მდგომარეობაც განმუხტა, მაგრამ მისგან მოგერიებული ბურთი, იუბილეზე მეორე საჩუქრის ავტორ მარეკ მინტალს ერგო... ხუთი წუთის შემდეგ მაპინძლებმა ერთი გოლის გატანა შეძლეს — ფანობა 17 წლის გარეთ ბეილმა გაახარა. თუმცა დროებით, მალე მარეკ მინტალმა დუბლი შეასრულა.

შესვენებამდე მცირე ხნით ადრე კაპიტანმა კრეიგ ბელამიმ მიზანში ვერ მოახვედრა. ტაიმთაშორისის შემდეგ კი კოზაკის მოწოდებული კუთხური მიროსლავ კარხანმა გოლად აქცია. მეხუთე, დამაგვირგვინებელი გოლი კი ვიტეკის ანგარიშზეა. რობერტ ვიტეკმა სვენტოს კარგი პასით ისარგებლა.

ოთხშაბათს სლავთაგან ნათრევი უელსი გულშემატკივართა წინაშე ბოდიშის მოხდას კვიპროსთან ბრძოლით შეეცდება, ხოლო სლოვაკეთი იმავე დღეს როსტოკში საქართველოს ნაკრებთან ნასიამოვნებ გერმანიას უმასპინძლებს.

ჩონტოფალსკიმ ბელამი არ გაატარა

ლადო ხომერიკი

ჩეხეთი	3	3	0	0	12:1	9
გერმანია	2	2	0	0	14:0	6
სლოვაკეთი	3	2	0	1	11:5	6
კვიპროსი	2	1	0	1	6:8	3
ირლანდია	2	0	0	2	2:6	0
უელსი	2	0	0	2	2:7	0
სან მარინო	2	0	0	2	0:20	0

E ჯგუფი

მაკედონია დონეა

ინგლისელებმა თეატრში გოლი ვერ ნახეს

რუნიმ კი იფრინა, მაგრამ მაკედონიას ვერ გაუტანა

რუსეთი 1:1 ისრაელი

1:0 არშავინი (5), 1:1 ბენ შუშანი (84)

რუსეთი: აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ანიუკოვი, ფირკოვი (სემშოვი 77), სმერტინი, ალდონინი, ბილიალეტდინოვი (კერჟაკოვი 30), არშავინი, პოგრებნიაკი (იზმაილოვი 57)

ისრაელი: ავატი, ბენ ჰაიმი, გერშონი (ბენ იოსეფი 46), კეისი, საბანი (ბენ შუშანი 46), აფეკი, ალბერმანი, ბადირი, ბენაიუნი (ტამუზი 75), ტალი, კოლაუტი

გაფრთხილება: პოგრებნიაკი, საბანი, კერჟაკოვი, ბენ შუშანი, სემშოვი

მსაჯი: ფლორიან მეიერი (გერმანია)

22 000 მაყურებელი

ინგლისი 0:0 მაკედონია

ინგლისი: პ. რობინსონი, გ. ნევილი, კინგი, ტერი, ე. კოული, დაუნინგი (რაიტ-ფილიპსი 70), კარიკი, ჯერარდი, ლამპარდი, რუნი (დეფო 74), კრაუჩი

მაკედონია: ნიკოლოსკი, ლაზარევსკი, მიტრევსკი, ნოვესკი, რ. პეტროვი, სედლოსკი, მიტრევსკი, სუმოლიკოსკი, მაზნოვი, ნაუმოსკი (სტოიკოვი 46), პანდევი (ტასევსკი 83)

გაფრთხილება: პეტროვი, ჯერარდი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

72 062 მაყურებელი

ხორვატია 7:0 ანდორა

1:0, 2:0, 3:0, 4:0 პეტრიჩი (12, 37, 48, 50), 5:0 კლასნიჩი (58), 6:0 ბალაბანი (62), 7:0 მოდრიჩი (83)

ხორვატია: პლეტიკოშა, შიმიჩი, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, კორლუკა, ედუარდო (ბაბიჩი 64), ნ. კოვაჩი (ჟ. ლეკო 69), მოდრიჩი, კრანჩარი, კლასნიჩი, პეტრიჩი (ბალაბანი 60)

ანდორა: კოლდო, ესკურა, ხ. ფერნანდესი, ხ. აიალა, გარსია (მ. ხიმენესი 68), რუბიო, სივერა (რუისი 60), სონეხე, პუხოლი, ხ. სანჩესი (ტოსკანო 53), ვიეირა

გაფრთხილება: სონეხე, ტოსკანო, ფერნანდესი

მსაჯი: ანტონი ზამიტი (მალტა)

20 000 მაყურებელი

„ოლდ ტრეფორდზე“ ინგლისისა და მაკედონიის ნაკრების მატჩს 72 ათასი ქომაგი დაესწრო, რაც რეკორდული მაჩვენებელია. ამაზე მეტი მაყურებელი ინგლისის ნაკრების საშინაო შეხვედრაზე მხოლოდ „უემბლიზე“ მისულა. თუმცა „ოცნების თეატრზე“ მისულ გულშემატკივრებს მოლოდინი გაუცრუვდათ, სტივ მაკლარენის შეგირდებმა, რომელთაც ფანტაზია აკლდათ, მაკედონიას ვერაფერი მოუხერხეს.

განსაკუთრებულად ცუდად ინგლისელები პირველ ნახევარში გამოიყურებოდნენ. მეტიც, ტაიმის მიწურულს სრეჩკო კატანეცის გუნდს გოლის გატანის კარგი შანსები ჰქონდა, მაგრამ რობერტ პეტროვმა კარგი პოზიციიდან ააცილა, ხოლო ველიჩე სუმულიკოსკის პოლ რობინსონმა აუღო.

მეორე ტაიმი ინგლისმა უკეთ ჩაატარა და მომენტებიც ჰქონდა. ფრენკ ლამპარდის თავური იანე ნიკოლევსკიმ მოიგერია. გარი ნევილმა მახვილი კუთხიდან ცარიელ კარს ააცილა. მომენტი ჰქონდა დისკვალიფიკაციის მერე ნაკრებში დაბრუნებულ უეინ რუნისაც, მაგრამ სტუმართა მეკარემ აუღო მასაც და შონ რაიტ ფილიპსსაც. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე სტივენ ჯერარდის გასროლილი ხარიხამ აისხლიტა, ბოლოს კი ნიკოლევსკიმ პიტერ კრაუჩის გასროლილიც უკუაგდო. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ უქმად არც მაკედონიელები ყოფილან და მეორე ნახევარში ერთიორჯერ მათაც გამოაჩინეს კლანჭები.

ჯერარდმა ერთ ეპიზოდში ყვითელი ბარათი მიიღო, რის გამოც ოთხშაბათს ხორვატიასთან ვერ ითამაშებს.

ფრენკ ლამპარდმა თქვა: „მომდევნო მატჩი ხორვატიასთან, ჩემთვის საიუბილეო, 50-ე იქნება და აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ჯერ 28 წლის ვარ და ვფიქრობ, უკვე ბევრი რამ მოვასწარი. ჩვენს ჯგუფში ხორვატია ყველაზე რთული მეტოქეა, მერე კი რუსეთი და ისრაელი მოდიან. სლავენ ბილიჩის გუნდის თამაში მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე ვნახე. მათ ბრაზილიის წინააღმდეგ საუცხოოდ ითამაშეს. მაკედონიასთან ფრის შემდეგ ჩვენი ნაკრები დიდი ზეწოლის ქვეშ იმყოფება. შაბათ-ოთხშაბათის მატჩებში ექვსი ქულის აღებას ვგეგმავდით, მაგრამ ორი უკვე დავკარგეთ, ამიტომ მხოლოდ მოგება დაგვაპურებს ხორვატებთან. არავინ იფიქროს, რომ მაკედონიასთან უგოლო თამაშის გამო ნაკრებში პრობლემები შეიქმნება. შეცდომები უნდა გამოვასწოროთ და გამარჯვებაც მოვა.“

გიორგი კაკაბაძე

ინგლისი	3	2	1	0	6:0	7
ისრაელი	3	2	1	0	6:2	7
ხორვატია	2	1	1	0	7:0	4
მაკედონია	3	1	1	1	1:1	4
რუსეთი	2	0	2	0	1:1	2
ესტონეთი	2	0	0	2	0:2	0
ანდორა	3	0	0	3	1:16	0

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. III ტური

F ჯგუფი

დანია 0:0 ჩრდ. ირლანდია

დანია: სორენსენი (კრისტიანსენი 68), ლ. იაკობსენი, გრავგაარდი, აგერი, ნ. იენსენი (ბენდტნერი 73), დ. იენსენი, კალენბერგი, პოულსენი, იორგენსენი, ტომასონი, ლოვენკრანდსი (კ. იენსენი 55)
ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, ბაირდი, კრეიგანი, მ. დაფი, ა. ჰიუზი, კლინგანი (ჯონსონი 56), ს. დევისი, ევანსი, გილესპი, ჰილი (ფინეი 84), ლაფერტი (ს. ჯონსი 63)
გაფრთხილება: ტეილორი, დაფი, ევანსი, გილესპი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
41 482 მაყურებელი

ლატვია 4:0 ისლანდია

1:0 კარლსონსი (14), 2:0, 3:0 ვერპაკოვსკისი (15, 25), 4:0 ვიშნიაკოვსი (52)
ლატვია: კოლინკო, კლავა (კაცანოვსი 82), სმირნოვსი, სტეპანოვსი, ზირნსი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (ვიშნიაკოვსი 46), ლაიზანსი, სოლონიცინსი, ვერპაკოვსკისი (პახარსი 57), კარლსონსი
ისლანდია: არასონი, ჰრეიდარსონი, ინგიმარსონი, კ. სიგურდსონი, სტეინსონი, არნასონი (დანიელსონი 42), გისლასონი, გუდიონსონი (ვ. გუნარსონი 46), ბ. გუნარსონი, გუდიონსენი, ჰ. სიგურდსონი (ჰალფრედსონი 71)
გაფრთხილება: ბ. გუნარსონი, ინგიმარსონი
მსაჯი: ალან კელი (ირლანდია)
7 500 მაყურებელი

შვედეთი 2:0 ესპანეთი

1:0 ელმანდერი (10), 2:0 ოლბოკი (82)
შვედეთი: შააბანი, ნილსონი, მელბერგი, ჰანსონი, ედმანი, ლიუნგბერგი (ვილჰელმსონი 56), ლინდეროტი, ალექსანდერსონი, ა. სვენსონი (კალსტრიომი 75), ელმანდერი (დ. ანდერსონი 77), ოლბოკი
ესპანეთი: კასილიასი, ხუანიტო, პუიოლი, ს. რამოსი, კაპდევილა (პუერტა 52), ალბელდა, ფაბრეგასი (ინიესტა 46), ხავი, ანგულო (ლუის გარსია 59), ფ. ტორესი, ვილია
გაფრთხილება: კაპდევილა, პუიოლი, სვენსონი, ინიესტა, ნილსონი, ხავი, რამოსი, ლუის გარსია
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)
33 056 მაყურებელი

ჯანდაბას ბებერი, საქმეს მივხედოთ!

მეკარე რამი შააბანმა ესპანელები ხელცარიელი გაუშვა

ბევრი რამ აპატიეს ესპანეთში ლუის არაგონესს — აპატიეს 2006 წლის მუნდიალზე წარუმატებელი გამოსვლა — მაშინ ფრანგებთან წავაგეთ, ისინი კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდნენო; აპატიეს ევრო 2008-ის შესარჩევში ჩრდილოირლანდიელებთან წაგება, ეგ მარცხი შემთხვევით მომოგვივიდაო და მხცოვანი ლუისის ხათრით შვედებთან მატჩის წინ ნაკრებიდან რაულის ამოგდებაზეც დახუჭეს თვალი, აქაოდა, გამოცდილი მწვრთნელია და ომში მებრძოლის შერჩევა სხვაზე უკეთესად იცისო. თუმცა სტოკჰოლმში „რასუნდას“ არენაზე ჩასვრის შემდეგ (აბა სხვა ნორდილებთან „ფურია როხას“ არაფერი უკეთებია), საეჭვოა, სენიორ არაგონესს ესპანეთში კიდევ ჰყავდეს მხარდამჭერი. არა, ვცდებით, ერთი მხარდამჭერი ნამდვილად ჰყავს, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანხელ მარია ვილარი. „არაგონესის ნაკრებიდან წასვლის იდეას ნამდვილად ვერ მოვიწონებ. ეროვნულ გუნდში გარკვეული პრობლემები არსებობს, თუმცა ამ სირთულეებს ლუისიც კარგად მოუვლის“ — განაცხადა ჟურნალისტებთან სენიორ ვილარმა. მეორე დღეს „მარკამ“ ეს ნათქვამი სრულად კი გამოაქვეყნა, მაგრამ ისიც დაურთო, პატივცემულო, თუ ლუისის მოხსნაზე აზრს შეიცვლით, ან საერთოდ, თქვენ და თქვენი არაგონესი ნაკრებიდან და ესპანეთიდან ჯანდაბას იქით წახვალთ, ეგებ გვეშველოსო. დანარჩენი პირინეული მედიაც ამ აზრის გახლავთ და ბატონ ვილარს თავლაფდასხმულის დაცვა ძალიან გაუჭირდება.

დონ ლუისის ლანძღვას ძალიან ბევრი დრო მოვანდომეთ. უშუალოდ თამაშს მივხედოთ. „რასუნდაზე“ „ფურია როხა“ თავიდანვე წყალწაღებული იყო, მეტ-ნაკლებად კარგად მარტო დავიდ ვილიამ იბურთავა, დანარჩენები გათანგულებს ჰგავდნენ, სერხიო რამოსი გაითიშა, პუიოლი სხვა პლანეტაზე იყო, ალბელდამ რიგიანი პასი ვერ გაახერხა და სესკმა და ხავიმაც მარტო შვედი გულშემატკივრები გაახარეს. გოლი კასილიასის კარში მეათე წუთზე გავიდა, ელმანდერმა პუიოლის და ხუანიტოს შეცდომით ისარგებლა და „რასუნდას“ ტაბლოზე 1:0 აანთო. კასილიასს მოგერიება შეეძლო, მაგრამ თუ იმ დღეს მთელი დანარჩენი ესპანეთი სცოდავდა, მეკარემ რაღა „დააშავა“, მეორე კი ბოლოს ოლბოკმა გაუტანა დაბნეულ მეტოქეს.

ლადო ხომერიკი

შვედეთი	3	3	0	0	6:1	9
დანია	2	1	1	0	2:0	4
ჩრდ. ირლანდია	3	1	1	1	3:5	4
ლატვია	2	1	0	1	4:1	3
ესპანეთი	3	1	0	2	6:5	3
ისლანდია	3	1	0	2	3:6	3
ლიხტენშტაინი	2	0	0	2	1:7	0

G ჯგუფი

მატიისენმა და ბერბატოვმა ქულები გაიყვეს

ქუჩუნა ფრე
სტოიჩკოვმა წვიმისგან ნანატრი მიიღო

ამ მატჩის წინ ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელმა ხრისტო სტოიჩკოვმა შეგირდები დაგეშა — ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა და თუ მოვიგებთ, ევროპის ჩემპიონატამდე ერთი ნაბიჯი დაგვრჩებაო. სტოიჩკოვი ფრეზეც ყაბულს იყო და საბოლოოდ ასეც მოხდა.

მასპინძლებმა დებიუტში მართლაც ძალიან მოინდომეს და სწრაფი გოლიც შეაგდეს. აქტიურმა მარტინ პეტროვმა საჯარიმოს მისადგომებიდან გაიტანა. ეს მისი მეოთხე გოლი იყო ბოლო სამ შეხვედრაში.

მატჩის დროს სოფიაში წვიმდა, ამიტომ შორეული დარტყმები უფრო სახიფათო გახლდათ და გუნდებიც ხშირად ურახუნებდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით სტუმრები აქტიურობდნენ, თუმცა მეკარეებმა შეხვედრა ბრწყინვალედ ჩაატარეს. დიმიტარ ივანკოვმა და ედვინ ვან დერ სარმა თავიანთი ნაკრებები რამდენჯერმე იხსნეს.

სტუმრები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ რეალურ სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდნენ, თუმცა ანგარიშის გათანაბრება მაინც შეძლეს. „ნარინჯისფერთა“ რიგებში ყველაზე აქტიურმა რობინ ვან პერსიმ ანდრე ოიერის ჩაწოდების შემდეგ გაიტანა.

გოლის მერე ჰოლანდია კიდევ უფრო თამამად ათამაშდა და სამი ქულის მოპოვება მოინდომა. იმავე ვან პერსის, უესლი სნეიდერსა და არიენ რობენს კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ივანკოვმა სამჯერვე იყოჩაღა. მატჩის მიწურულს კი შეცვლაზე შესულ ვალერი ბოჟინოვს მასპინძელთათვის გამარჯვების მოტანა შეეძლო, მაგრამ მის თავურს ვან დერ სარი აღუდგა.

„ევროპაში ბევრს ეპარებოდა ეჭვი ბულგარეთის ნაკრების სიძლიერეში — განაცხადა ნამატჩევს სტილიან პეტროვმა — მაგრამ ამ ფრის შემდეგ, ალბათ, ყველა სერიოზულ გუნდად მიგვიღებს. ჰოლანდია უმაღლესი კლასის ნაკრებია, თუმცა ჩვენც საკმაოდ ორგანიზებულად დავუხვდით. ახლა, ჯგუფიდან გასვლაზეც ვიფიქრებთ.“

გიორგი ქაქაბაძე

რუმინეთი	3	2	1	0	7:3	7
ჰოლანდია	3	2	1	0	5:1	7
ბულგარეთი	3	1	2	0	6:3	5
სლოვენია	2	1	0	1	2:3	3
ალბანეთი	2	0	1	1	2:4	1
ბელარუსი	3	0	1	2	3:8	1
ლუქსემბურგი	2	0	0	2	0:3	0

რუმინეთი 3:1 ბელარუსი

1:0 მუტუ (7), 2:0 მარიკა (10), 2:1 კორნილენკო (20), 3:1 გოიანი (76)
რუმინეთი: კობანი, პ. მარინი, გოიანი, კონტრა, ტამაში, ფ. პეტრე, რადოი, დიკა (კოცისი 88), მუტუ (ბუგა 72), მარიკა (ნიკულესკუ 90)
ბელარუსი: გაევი, შტანიუკი, ომელიანჩუკი, ლენცევიჩი, გურენკო, იურევიჩი, ა. გლები, კალაჩევი (ვ. გლები 50), კულჩი (სტრახანოვიჩი 65), რომაშჩენკო, კორნილენკო (კორიტკო 66)
გაფრთხილება: ტამაში, ომელიანჩუკი
მსაჯი: ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)
12 000 მაყურებელი

ბულგარეთი 1:1 ჰოლანდია

1:0 პეტროვი (12), 1:1 ვან პერსი (62)
ბულგარეთი: ივანკოვი, ანგელოვი, ილიევი, ვაგნერი, გარგოროვი, კიშიშევი, ს. პეტროვი, იანკოვი (იანკოვიჩი 82), იოვოვი (ტელკისკი 54), ბერბატოვი, მ. პეტროვი (ბოჟინოვი 64)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, ოიერი, ბულარუზი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, ნ. დე იონგი, ლანძაატი, სნეიდერი (შაარსი 90), რობენი, კუიტი (ბაბელი 16), ვან პერსი
გაფრთხილება: მ. პეტროვი, ანგელოვი, სნეიდერი
მსაჯი: პანიკოს კაილისი (კვიპროსი)
30 547 მაყურებელი

სლოვენია 2:0 ლუქსემბურგი

1:0 ნოვაკოვიჩი (30), 2:0 კორენი (44)
სლოვენია: ბ. მავრიჩი, სესარი, ილიჩი, ჯოკიჩი, მ. მავრიჩი, ნ. ჩეჰი, კორენი, აჩიმოვიჩი (კომაცი 75), ბირსა, ლავრიჩი, ნოვაკოვიჩი
ლუქსემბურგი: ჟუბერი (ჟილე 72), ჰოფმანი, რეიტერი, შტრასერი, ბეტმერი, ჟოაკიმი (ჰუსი 66), კიმპეგერი, ლომბარდელი (ლევეკი 42), მუტში, პეტერსი, რემი
გაფრთხილება: ჰოფმანი, ილიჩი
მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)
3 500 მაყურებელი

ინგლისი

პირველი ლიგა. XIII ტური

ბორნმუთი — ნორთჰემპტონი 0:0; დონკასტერი — ოლდჰემი 1:1; სუონსი — ტრანმერი 0:0; იოვილი — ჩელტენჰემი 0:1; ნოტინგემი — სკანთორპი 0:4; ბრედფორდი — ჰადერსფილდი 0:1; კარლაილი — მილუოლი 1:2; ბრენტფორდი — ბრისტოლი 1:1; ქრიუ — ჯილინგემი 4:3; ლეიტონი — ჩესტერფილდი 0:0; ბრაიტონი — ბლეკპული 0:3; პორტ ვალი — როტერჰემი 1:3

მეორე ლიგა. XIII ტური

დარლინგტონი — როჩდეილი 0:5; ჩესტერი — უოლსოლი 0:0; ლინკოლნი — ჰარტლპული 2:0; დონსი — ჰიტერბრო 0:2; შრიუსბერი — მაკლსფილდი 2:1; უიკომბი — ტორკი 2:0; მენსფილდი — ნოტსი 2:2; როვერსი — ბოსტონი 1:0; სტოკპორტი — ბარნეტი 2:0; აკრინგტონი — სუინდონი 1:1; გრიმსბი — ჰერეფორდი 2:1

კონფერენსლიგა. XIV ტური

ფორესტ გრინი — ოქსფორდი 1:5; რაშდენი — სტივენეიჯი 2:2; უოქინგი — ბარტონი 0:0; იორკი — ალდერშოტი 1:0; ალტრინჩემი — ვეიმუთი 0:0; ქროული — მორეკამბი 4:0; კიდერმინსტერი — გრეისი 2:1; სოთპორტი — სენტ ალბანსი 1:1; დაგენემი — ნორსვიჩი 5:0; ექსეტერი — ჰალიფაქსი 4:1; გრეივსენდი — კემბრიჯი 2:0; ტეგმუორთი — სტაფორდი 0:0

ამხანაგური მატჩები

იორდანია 0:0 ირანი

ლიხტენშტაინი 1:2 ავსტრია

1:0 ფრიკი (68), 1:1 გარიცსი (78), 1:2 პრაგერი (84)

ავსტრალია 1:1 პარაგვაი

1:0 პოპოვიჩი (88), 1:1 ბუჩამპი (90ს.კ.)

ძუვეითი 0:4 ბრაზილია

0:1 სობისი (19), 0:2 რობინიო (36), 0:3 დანი კარვალიუ (55), 0:4 კაკა (79)

ჩილე 3:2 პერუ

0:1 გერერო (8), 1:1, 2:1 ხ. ფერნანდესი (28, 50), 3:1 ნავია (70), 3:2 პიზარო (83)

კორეა 1:3 განა

0:1 გიანი (50), 0:2 ესიენი (58), 1:2 ჰიუნი (63), 1:3 გიანი (84)

გვატემალა 2:3 ჰონდურასი

1:0 პეცაროსი (27), 2:0 ავილა (32), 2:1 ნუნიესი (52პ), 2:2 ტრიგუენო (69), 2:3 სუაცო (87პ)

ტრინიდადი 5:0 სენტ ვინსენტი

1:0 ბირჩალი (13), 2:0, 3:0, 4:0 ჯონი (24, 46, 67), 5:0 ბაპტისტა (79)

პანამა 1:0 სალვადორი

1:0 ტეხადა (65)

შვეიცარია

ჩემპიონატი. IX ტური

შო დე ფონი — ვოლენი 2:2; იუვენტუსი — ბოლმი 0:3; კიასო — ქსამაქსი 3:2; ბელინცონა — ლუგანო 0:1; დელემონი — კრინსი 0:1; ვილი — ვინტერთური 0:2; სერვეტი — კონკორდია 1:1; ლოზანა — ლოკარნო 2:1

ნორვეგია

I დივიზიონი. XXVI ტური

ბრინი — ტრიომსდალენი 0:3; ფოლო — მოსი 1:3; ჰიოდი — ლოვ ჰამი 1:1; ჰიონეფოსი — სპარტა 3:1; კონგსვინგერი — ჰაუგესუნდი 0:2; სტრიომსგოდსეტი — ალესუნდი 3:2. *ბოდიო გლიმტი — ჰორს გრენლანდი დღეს გაიმართება*

დანია

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

ჰერფიოლგე 2:0 სიონდერისკე

ნესტვედი 2:1 ფკ ორჰუსი

იტალია

სერია B. VI ტური

ალბინოლეფე — სპეცია 0:0; ჯენოა — არეცო 3:0; მანტოვა — ვიჩენცა 2:0; მოდენა — პესკარა 2:0; ნაპოლი — რიმინი 1:0; ტრევიზო — პიაჩენცა 1:1; ვერონა — კროტონე 0:0. *ბარი — ბოლონია დღეს გაიმართება, ჩეზენა — ტრიესტინა, იუვენტუსი — ბრეშა და ფროზინონე — ლეჩე 1 ნოემბერს*

ჯენოა	6	4	0	2	11:7	12
მანტოვა	6	3	2	1	8:4	11
ბრეშა	5	3	2	0	7:3	11
ნაპოლი	6	3	2	1	8:5	11
ლეჩე	5	3	1	1	9:5	10
ჩეზენა	5	2	3	0	9:6	9
რიმინი	6	2	2	2	8:7	8
ბარი	5	2	2	1	5:4	8
ტრევიზო	6	2	2	2	7:7	8
მოდენა	6	2	2	2	5:6	8
ბოლონია	5	2	1	2	5:6	7
ალბინოლეფე	6	1	4	1	4:5	7
პიაჩენცა	6	2	1	3	4:8	7
სპეცია	6	1	3	2	5:6	6
ვერონა	6	1	3	2	2:3	6
ტრიესტინა	5	1	3	1	3:3	5
ფროზინონე	5	1	2	2	5:6	5
კროტონე	6	1	1	4	4:13	4
პესკარა	6	0	2	4	4:9	2
ვიჩენცა	6	0	1	5	3:9	1
არეცო	6	0	4	2	1:5	-2
იუვენტუსი	5	4	1	0	12:2	-4

ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 17 ქულა

სერია C1/A. VI ტური

პრო სესტო — კრემონეზე 0:0; ჩიტადელა — ნოვარა 2:2; გროსეტო — ლუკეზე 0:0; ივრეა — მონცა 1:2; პავია — სასუოლო 1:2; პიციგეტონე — მასეზე 0:0; პრო პატრია — სანჯოვანეზე 3:1; ვენეცია — პისტოიეზე 2:1; პიზა — პადოვა 1:0

სერია C1/B. VI ტური

კავეზე — გალიპოლი 0:0; იუვე სტაბია — ტერნანა 1:2; ლანჩანო — ჯულიანოვა 1:0; პერუჯა — ანკონა 1:0; რავენა — მარტინა 2:0; სამბენედეტეზე — სან მარინო 1:0; ტარანტო — მანფრედონია 0:0; ტერამო — სალერნიტანა 2:1. *ფოჯა — აველინო დღეს გაიმართება*

შვედეთი

სუპერლიგა. XXVIII ტური

ბრომაპოიკარნა — ნორჩიოპინგი 1:5; უმეა — მიალბი 1:3; დეგერფორსი — ლანდსკრონა 1:1; ფალკენბერგი — იონკოპინგი 5:1; ლიუნგსკილე — ტრელებორგი 1:1; იორებრო — ქვიდინგი 6:1. *ატვიდაბერგი — ასირისკა დღეს გაიმართება*

აშშ

MLS. XXXI ტური

ვაშინგტონი — ნიუ ინგლენდი 1:2; ჩიკაგო — კოლუმბუსი 1:4; დალასი — ლოს ანჯელესი 2:1; კანზასი — ჩივასი 2:1; კოლორადო — ნიუ იორკი 1:1; სოლტ ლეიკი — ჰიუსტონი 1:1

იაპონია

ჯეი ლიგა. XXVI ტური

კიოტო — ომია 1:1; ნიიგატა — იოკოჰამა 1:0; ნაგოია — ტოკიო 1:2; ფუკუოკა — კაშიმა 2:1; კავაზაკი — ოიტა 2:1; სერეზო — შიმიცუ 1:1; ივატა — გამბა 3:2; ურავა — იჩიჰარა 2:0; კოფუ — ჰიროშიმა 1:0

ბელგია

მეორე კლასი. VIII ტური

ეუპენი — რონსე 2:0; ვაასლანდი — ვირტონი 0:0; ანტვერპენი — კორტრაიკი 0:0; დესელი — მეხელენი 0:3; ტუბეკე — ოუდ ევერლე 0:0; დაინცე — ვიგორი 3:2; ტინენი — ოსტენდე 2:2; სენტ ჟილი — ვარეგემი 2:1; დენდერი — ლომელი 1:0

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი. X ტური

კამბური — სიტარდი 2:1; გრააფსხაპი — დენ ბოსხი 3:1; ემენი — ტელსტარი 0:1; ვოლენდამი — ალმერე 0:0; იგლსი — ეინდჰოვენი 2:0; ჰაარლემი — დორდრეხტი 1:1; ჰელმონდი — ზვოლე 1:1; მაასტრიხტი — ვეენდამი 3:1; როზენდალი — ვენლო 3:1; ოსი — აპელდორნი 5:2

როზენდალი	10	7	3	0	24:8	24
ტელსტარი	10	7	1	2	21:13	22
დორდრეხტი	10	6	3	1	21:9	21
ვეენდამი	10	5	4	1	20:10	19
ვოლენდამი	10	5	4	1	17:9	19
დენ ბოსხი	10	5	3	2	18:14	18
გრააფსხაპი	10	5	2	3	21:14	17
ვენლო	10	5	2	3	20:16	17
იგლსი	10	4	4	2	14:10	16
ჰაარლემი	10	3	5	2	16:13	14
მაასტრიხტი	10	3	4	3	16:10	13
ემენი	10	3	3	4	16:17	12
ალმერე	10	3	2	5	14:22	11
ოსი	10	2	3	5	13:25	9
აპელდორნი	10	2	2	6	19:23	8
ზვოლე	10	1	4	5	12:15	7
ეინდჰოვენი	10	1	3	6	11:22	6
კამბური	10	1	3	6	7:19	6
სიტარდი	10	1	2	7	7:20	5
ჰელმონდი	10	0	5	5	10:28	5

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი

VII ტური

ნუმანსია — ტენერიფე 0:1; პოლი ეხიდო — ელჩე 2:1; სპორტინგი — ვესინდარიო 1:0; ვალიადოლიდი — ლორკა 1:0; ალავესი — ალმერია 1:0; სიუდად მურსია — მალაგა 2:0; ერკულესი — კადისი 0:1; სალამანკა — კასტელიონი 1:2; ხერესი — პონფერადინა 3:1; ალბასეტე — მურსია 0:0; ლას პალმასი — რეალი B 2:1

ხერესი	7	5	1	1	14:4	16
მურსია	7	4	2	1	10:7	14
სიუდად მურსია	7	4	1	2	9:5	13
ალბასეტე	7	4	1	2	10:7	13
ტენერიფე	7	4	1	2	7:5	13
მალაგა	7	4	0	3	10:8	12
სპორტინგი	7	4	0	3	9:7	12
სალამანკა	7	4	0	3	11:11	12
ალავესი	7	3	2	2	6:4	11
კასტელიონი	7	3	2	2	11:10	11
ნუმანსია	7	3	1	3	10:8	10
ვალიადოლიდი	7	3	1	3	9:7	10
პონფერადინა	7	3	1	3	9:7	10
კადისი	7	3	1	3	7:7	10
პოლი ეხიდო	7	3	1	3	5:9	10
ლორკა	7	2	2	3	5:7	8
ალმერია	7	2	1	4	8:9	7
ლას პალმასი	7	2	1	4	7:13	7
რეალი B	7	2	1	4	6:13	7
ერკულესი	7	2	0	5	6:9	6
ელჩე	7	1	2	4	9:12	5
ვესინდარიო	7	1	0	6	7:16	3

ირლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

კორკი — ლონგფორდი 1:1; დერი — ბოჰემიანსი 1:1; სენტ პატრიკსი — დროჰედა 3:0; დუბლინი — ბრეი 4:0; უოტერფორდი — შელბურნი 0:1

შოტლანდია

მესამე დივიზიონი

გადადებული მატჩი

ელგინი 2:3 ისტ ფაიფი

ანრი რიბერის თოფზე მპატიჟება

ბრიტანული პრესის ცნობით, ლონდონის „არსენალმა“ ფრანკ რიბერისთან წინასწარ შეთანხმებას მიაღწია და 23 წლის შემტევი ფრანგი ნახევარმცველი მომავალ ზაფხულს „მეთოოფე“ გახდება.

„გალათასარაის“ ყოფილი და ამჟამად „მარსელის“ ფეხბურთელი ევროპული გრანდების ყურადღების ცენტრში მსოფლიოს გასულ ჩემპიონატზე კარგი თამაშის შემდეგ მოექცა. „არსენალის“ გარდა რიბერის მიუნხენის „ბაიერნი“ და მადრიდის „რეალი“ უტრიალებენ. ვთქვათ ისიც, რომ ფრანგს „ველოდრომის“ ბინადრებთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს.

რიბერი „მეთოოფეთა“ ფრანგი ლიდერის, ტიერი ანრის ახლო მეგობარია და შესაძლოა, ტრანსფერში ამნაც ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი. ამბობენ, „არსენალი“ მზად არის, 17,5 მილიონი გირვანქა გადიხადოსო.

კოკი კანდელაკი

სიონის ავმა პრეზიდენტმა 22 მწვრთნელი დაკბინა

შვეიცარიულ „სიონს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს. გუნდს, სულ ცოტა, სეზონის ბოლომდე მარკო შაელიბაუმი უთავკაცებს და მერე მხარეებმა შესაძლოა, თანამშრომლობა გააგრძელონ. ეს ამბავი საკმაოდ მოულოდნელი გახლდათ, რადგან „სიონიდან“ ნესტორ კლაუსენის წასვლას არავინ ელოდა.

44 წლის არგენტინელი სპეციალისტი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებთან ერთად 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი აქვს მოგებული, გუნდიდან გასულ კვირას, „შო დე ფონთან“ შვეიცარიის თასის მატჩის შესვენებისას წავიდა (ის შეხვედრა სიონელებმა 3:1 მოიგეს). კლაუსენს მიზეზი არ დაუსახელებია, თუმცა მერე კი თქვა, რომ კლუბის პრეზიდენტ კრისტიან კონსტანტინის პოლიტიკით იყო უკმაყოფილო.

როგორც ჩანს, კონსტანტინი მარილაც რთული პიროვნებაა, რადგან რვა წელია, „სიონის“ მმართველია და ამ პერიოდში გუნდმა უკვე 22 მწვრთნელი გამოიცვალა.

„შაელიბაუმი მებრძოლია, რომელიც ქულებზეა დაგებული და იცის, როგორ მოიპოვოს ისინი. „სიონს“ სწორედ ასეთი კაცი სჭირდება“ — თქვა კონსტანტინმა.

გიორგი კაკაბაძე

ევროპის 2007 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი (U-21)

ჯგუფი ოფი. პირველი მატჩები

სერბეთი 0:3 შვედეთი

0:1, 0:2 ჯურიჩი (4, 9), 0:3 ჰოლმენი (63)

რუსეთი 4:1 პორტუგალია

1:0 დენისოვი (5), 1:1 მაჩადო (12), 2:1 ნაბაკინი (47), 3:1 სავინი (64), 4:1 დენისოვი (90პ)

ჩეხეთი 2:1 ბოსნია

1:0 კოლარი (34), 1:1 სალიჰოვიჩი (52), 2:1 ლატკა (70)

ინგლისი 1:0 გერმანია

1:0 ბაინსი (77)

იტალია 0:0 ესპანეთი

ბელგია 1:1 ბულგარეთი

1:0 ლეჟარი (74), 1:1 გენკოვი (88პ)

საფრანგეთი 1:1 ისრაელი

0:1 საჰარი (50), 1:1 ზუბარი (72)

საპასუხო მატჩები გაიმართება 10-11 ოქტომბერს

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიოვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge